CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

რეკლამა „ალიაში“
5 77 444 442

N176/3106/ 28 ნოემბერი, 1 დეკემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ღარიბაშვილის პროექტმა გაიმარჯვა

რა მოხდება კოალიციაში?



## რატომ არ ცხადდება საერთაშორისო ძებნა სააკაშვილზე, რომელსაც მეხუთე ბრალი წაუყენეს?



## როდის სვამდა „ნაციონალების“ მაგინებელი ომარ ნიშნიანიძე სააკაშვილის სადღეგრძელოებს?





## რატომ უწოდა ჩიორა თაქთაქიშვილს დეპუტატმა კაჭახიძემ „ავადმყოფი“?




## „მინისტრი ზაქარეიშვილი უნდა გადადგეს!“



რა უპასუხა პაატა ზაქარეიშვილმა „ალიას“

## იური ვაზაგაშვილი:

„ამ ხელისუფლებას არ ვაპატიებთ ამ დაცინვას, ამ შეურაცხყოფას“

რა შეუთვალა ვიცე-სპიკერ კობახიძეს ვაზაგაშვილმა და რას აპირებს კობახიძე?





## გერმანიის პოლიციამ 6 ქართველი 6 კგ ოქროს ქურდობისთვის დააკავა

გერმანული ონლაინ მედია **www.mobil.express.de**-ს ცნობით, ქალაქ კელნში გერმანიის პოლიციამ 6 ქართველი, დაახლოებით 100 ათასი ევროს ღირებულების ოქროს ქურდობისთვის დააკავა.

მაღაზიის იატაკი ქურდებმა სარდაფიდან გაჭრეს, რომელშიც მეზობელი შენობიდან სპეციალურად გათხრილი გვირაბით მოხვდნენ. მათ მაღაზიის მთლიანი დახლი დაცალეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დამნაშავეები სამართალდამცველებმა ორგანიზებული ჯგუფის 29 წლის ხელმძღვანელის სახლში იმ დროს დაიჭირეს, როდესაც ისინი ნაქურდალის ღირებულებას ითვლიდნენ.

პოლიციის მისვლისას მათ ოქრო აივნიდან გადაყარეს. დამნაშავეების დაპატიმრების შემდეგ პოლიცია ადგილზე მივიდა და ბუჩქებიდან, რომლის მოჭრაც აუცილებელი გახდა, მთლიანობაში 6 კგ ოქრო ამოიღო.

დანაშაულებრივი ჯგუფი გერმანიის პოლიციისთვის აქამდეც ცნობილი იყო. ამავე მაღაზიაში შეჭრის მცდელობა დაკავებულ პირებს პირველად 2 კვირის წინ ჰქონდათ, როდესაც გეგმის განხორციელება სამკაულების მაღაზიაში სახურავიდან სცადეს, მაგრამ წარუმატებლად. მეორე მცდელობისას კი ჯგუფის წევრებმა ნაქურდალის მხოლოდ ერთი დღით შენარჩუნება შეძლეს. ისინი ძარცვიდან მეორე დღესვე დააკავეს.

ქართველი დამნაშავეები საიუველირო მაღაზიის ქურდობის გარდა, კიდევ 5 სამართალდარღვევაზე აგებენ პასუხს.

აღსანიშნავია, რომ პოლიციამ იარაღი ვერ აღმოაჩინა, რადგანაც ორგანიზებული დანაშაული დაზარალებულთან პირდაპირი კონტაქტის გარეშე იყო ჩადენილი. (ნიუპოსტი)

## თბილისში 4 მანქანის შეჯახების შედეგად, ერთ-ერთი ავტომობილი აალდა

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ერთმანეთს 4 ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთ-ერთი ავტომობილი აალდა.

შსს-ს ინფორმაციით, აალებული ავტომობილიდან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მგზავრების გადმოყვანა დროულად მოახერხეს. 3 ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## სურსათის ეროვნულ სააგენტოს ზაზა დოლიძე უხელმძღვანელებს




დოლიძე მანამდე სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე იყო. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მრჩევლად, იყო შსს-ის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის კონსულტანტი ორგანიზაციული მართვის საკითხებში.

შრომითი საქმიანობა ზაზა დოლიძემ 2006 წელს შპს „პე-ეს-პე ფარმაში" კორპორატიული გაყიდვების მენეჯერად დაიწყო. 2012-2013 წწ. „პე-ეს-პე დაზღვევის" დირექტორად. 2013-14 წლებში ხელმძღვანელობდა საფეხბურთო კლუბ რუსთავის „მეტალურგს".

2014 წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის №443 ბრძანებით, ზაზა დოლიძე დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსად. (ნიუპოსტი)

## საბავშვო ბაღში პურში მღრღნელების ექსკრემენტები აღმოაჩინეს



ახალციხის მეხუთე საბავშვო ბაღში საკვებად გამზადებულ პურში მღრღნელების ექსკრემენტები აღმოაჩინეს. ფაქტი ქალაქის მერიაში ქალაქის მენეჯერების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხვედრის დროს გახდა ცნობილი.

შეხვედრაზე მეხუთე საბავშვო ბაღის მენეჯერმა პურის ის ნაჭერი წარმოადგინა, რომელიც საბავშვო ბაღის კვების ობიექტიდან ამოიღეს.

ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ამ ფაქტს უარყოფს, თუმცა მის შესწავლას გეგმავს. (ნიუპოსტი)

## ბელიაშვილის ქუჩაზე მანქანა დაიწვა



ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორან „ავალონთან" ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. „მერსედესის" ტიპის ავტომანქანა სატვირთო ავტომობილს შეეჯახა. შედეგად „მერსედესი" მთლიანად დაიწვა, მისი ორი მგზავრი კი მსუბუქად დაშავდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. ავარია ე.წ. საცობის შექმნის მიზეზიც გახდა. (ნიუპოსტი)



## „არ არსებობს იდეალური სისტემა, რომელიც პირად ცხოვრებაში ჩარევას გამორიცხავს"



უმრავლესობის წევრის, ეკა ბესელიას განცხადებით, მსოფლიოში არ არსებობს იდეალური სისტემა, რომელიც ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევას გამორიცხავს. როგორც ბესელიამ პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, საკანონმდებლო პაკეტით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ფუნქციების გაზრდა სურთ.

„კანონში წერია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ანგარიშვალდებულია პარლამენტთან. ის არის კანონით პასუხისმგებელი პირი, საჯარო და კერძო დაწესებულებებში განახორციელოს მონიტორინგი ინფორმაციის დაცვაზე. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ინსპექტორის უფლებები უნდა იყოს გაზრდილი", – განაცხადა ბესელიამ.

„მომწონს ინსპექტორის კონტროლის მექანიზმის მაღალი სტანდარტი. გამოითქვა მოსაზრებები, რომ სწორედ ამ ფუნქციის მინიჭება ართმევს ინსპექტორს ზედამხედველობის ფუნქციას. ამიტომ შევთავაზე, რომ თუ ეს არის ბარიერი, რომლითაც განსხვავებული მოსაზრება უნდა დაიძლიოს, მზად ვარ, მხარი დავუჭირო ცვლილებას. ვერ მოვისმინე არგუმენტი, რატომ არ არის ზედამხედველობის ფუნქციის მატარებელი ამ ღილაკზე ხელის დაჭერა", – განაცხადა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

## „მე და ივანიშვილს როგორც ცა და დედამიწა, ისეთი განსხვავებული ხედვები გვაქვს"



„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი, ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან მისი გათავისუფლების შემდეგ ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან გამართულ შეხვედრას **Forbes Georgia**-სთან ინტერვიუში იხსენებს.

„შეხვედრა სპონტანურად შედგა. წინა დღეს, როდესაც პოლიტიკურ საბჭოზე ვნახე ბიძინა ივანიშვილი, პირდაპირ ვუთხარი, რომ აქ მოსული ვარ ჩემს პოლიტიკურ პარტნიორებთან გამოსამშვიდობებლად, იმ პროცესის პატივსაცემად, რომელშიც ერთად ვიყავით და არ ვიყავით იქ მისული, რათა ივანიშვილთან გველაპარაკა, იმიტომ რომ ის არ წარმოადგენს, ფორმალურად მაინც, ყოველ შემთხვევაში, ამ საბჭოს წევრს. მეორე დღეს ჩვენ უბრალოდ შემთხვევით შევხვდით ჩვენი საერთო ნაცნობის მამის გასვენებაში და როდესაც მან შეხვედრა შემომთავაზა, მე დავთანხმდი, იმიტომ რომ, ელემენტარულად, ვთვლი, რომ კაცური, ასე ვთქვათ მოვალეობაც იყო ჩვენი, ერთხელ მაინც ყველაფრისთვის საკუთარი სახელი დაგვერქმია.

რა თქმა უნდა, ჩვენ როგორც ცა და დედამიწა, ისეთი განსხვავებული ხედვები გვაქვს თითქმის ყველა საკითხზე, მაგრამ ერთი, რაც შემიძლია ვთქვა და ორივე მხრიდან აღვნიშნეთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენი პოლიტიკური გზები გაიყო, ჩვენ აღარა ვართ პარტნიორები არც პოლიტიკურად, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ამან სახელმწიფო არ უნდა დააზიანოს", – განაცხადა ალასანიამ.

ამასთან, თავდაცვის ყოფილი მინისტრი არ პასუხობს კითხვას, მიაჩნია თუ არა, რომ ახლანდელი მოვლენები ცნობილი ჩანაწერების ექოა.

„მე არასდროს არ გამიკეთებია კომენტარი ჩანაწერებზე, მის ავთენტურობაზე და არც ახლა მაქვს სურვილი, ამაზე ვისაუბრო", – დასძინა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

## ემზარ კვიციანის ოჯახი ჩამორთმეული ქონების საკუთრებაში გადაცემას ითხოვს



ემზარ კვიციანის ოჯახი წინა ხელისუფლების დროს ჩამორთმეული ქონების საკუთრებაში გადაცემას ითხოვს. პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ოჯახის ინფორმაციით, 2007 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვიციანის ოჯახს ჩამოერთვა ბინები ჭავჭავაძისა და ქეთევან წამებულის გამზირებზე, ასევე მიწის ფართობი თელავში.

კვიციანის მეუღლის, თეთნულდი ანსიანის განცხადებით, გარდა ამისა, უკანონოდ წაიღეს სახლიდან ავეჯი და მისი მეუღლის ავტომობილი.

„ჩემი ინფორმაციით, მანქანით ვიღაც ზონდერი სარგებლობდა. ახლა კი მანქანაც და ავეჯიც, ე.წ. პეპელას საწყობში ინახება. ვითხოვთ, რომ ბინა, რომელშიც ცხოვრების უფლება ღარიბაშვილმა მოგვცა, კანონიერად გადმოგვიფორმდეს", – განაცხადა თეთნულდი ანსიანმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



გუშინ პარლამენტმა ე.წ. მოსმენების შესახებ ორ კანონპროექტს უყარა კენჭი პირველი მოსმენით. კენჭისყრის შედეგები ასეთია: ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილი კანონპროექტი პარლამენტმა 75 ხმით მიიღო (58 წინააღმდეგი), ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტი კი ჩავარდა – 61 მომხრე და 71 წინააღმდეგი. შეგახსენებთ, რომ ამ კანონმა უნდა დაარეგულიროს, ვის ექნება ფარულ მოსმენებზე წვდომა, ანუ გასაღები. შეგახსენებთ, ფრაქცია „ქართული ოცნების" კანონპროექტი გასაღების შს სამინისტროსთვის დატოვებას ითვალისწინებს, მეორე გასაღები კი, კონტროლის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა გადაეცეს. „რესპუბლიკელმა" ვახტანგ ხმალაძემ კი ერთგასაღებიანი ვარიანტი წარმოადგინა და მასზე წვდომა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა ჰქონდეს. „ქართული ოცნების" კანონპროექტს მხარი კოალიციაში შემავალმა ყველა პარტიამ დაუჭირა, გარდა „რესპუბლიკელებისა". ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტს კი, თანაპარტიელებ-ლი კანონის მიღებას ასეთი მძაფრი ვნებათაღელვა მოჰყვა. პირველად „ანტიდისკრიმინაციული კანონის" მიღებაზე იყო დიდი აურზაური პარლამენტში, მაგრამ ამგვარი ნამდვილად არ ყოფილა. ახლა დეპუტატები ერთმანეთის შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ და რას აღარ ეძახიან ერთმანეთს. განსაკუთრებით შავ დღეში „რესპუბლიკელები" არიან. უმრავლესობის ზოგიერთი წევრი, პირდაპირ მოღალატეებს ეძახის ამ პარტიის წევრ დეპუტატებს იმის გამო, რომ კოალიციის მიერ მომზადებულ კანონპროექტს არათუ მხარს არ უჭერენ, მეტიც, გაბედეს და კანონპროექტის საკუთარი ვარიანტი წარმოადგინეს. ამით „რესპუბლიკელებმა" უკან დასახევი გზა თავად ხომ მოიჭრეს, ბოლომდე უნდა „მიაწვნენ" ვახტანგ ხმალაძის ვარიანტს, რადგან ახლა თუ დათმეს, მერე პრინციპების დაცვაზე ლაპარ-ვილს და ვინ მის გვერდში დარჩება. ელისო ჩაფიძის, ივანე კილურაძისა და თამარ კორძაიას არჩევანმა ისიც დაადასტურა, რომ კოალიციაში ერთიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ მითია და ის ხელოვნურად არსებობს.

კილურაძე და ჩაფიძე, არ დაგავიწყდეთ, იმ პარტია „ქართული ოცნების" დამფუძნებლები არიან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დააარსა.

წელან მოგახსენეთ, „რესპუბლიკელებს" განსხვავებული აზრისა და კანონპროექტის გამო, მოღალატეებსა და გამყიდველებს ეძახიან-მეთქი. მთა-ლი ოცნების" ლიდერებს „ნაცმოძრაობისა" სწორედ ის არ მოსწონდათ, რომ ერთი კაცის დაკრულზე ცეკვავდა ყველა და განსხვავებული აზრი არავის აქვსო. ახლა როგორ არის საქმე? „რესპუბლიკელებს" აქვთ მმართველ კოალიციაში განსხვავებული აზრი და დაამხვეს ყველაფერი თავზე. ყველაზე მეტს კი ის დეპუტატები ყვირიან, ვინც „ნაცმოძრაობას" ერთფეროვნებას უწუნებდა. ადრე, ვიდრე კო-ულობა აქვთ „რესპუბლიკელებს", რა დგას ამ კანონპროექტის მიღმა და ზოგადად, რა გეგმები აქვთ. სწორედ

როცა ბიძინა ივანიშვილი კოალიციას ქმნიდა, საზოგადოების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო, რომ „რესპუბლიკელები" და „თავისუფალი დემოკრატები" ამ კოალიციაში მიეღო. ამბობდნენ, რომ ეს პოლიტიკური ძალები არ იყვნენ სანდონი, ულტრალიბერალური იდეების ერთგული პოლიტიკოსები ეროვნულ საქმეს არ გამოადგებოდნენ და ერთ მშვენიერ დღესაც, მათი დასავლელი პატრონების კარნახით დაიწყებდნენ ანტიეროვნულ მოქმედებას, კოალიციას კი ფეხებზე დაიკიდებდნენ. თუმცა, ბიძინა ივანიშვილი არ მალავდა, რომ ეს პარტიები კოალიციის დასაბალანსებლად სჭირდებოდა და იმედოვნებდა, რომ დასავლეთში ურთიერთობებს ისინი დაალაგებდნენ. რა ვიცი, მაგათი დალაგებული ჯერ ვერაფერი ვნახე, მაგრამ არეული კი ძალიან ბევრი. „თავისუფალმა დემოკრატებმა" ლამის სახელმწიფო საკონსტიტუციო გადატრიალება მოაწყვეს ქვეყანაში და თითიდან

**სააკაშვილის რეჟიმი სწორედ იმიტომ იქცა სისხლიან დიქტატურად, რომ მათ გუნდში განსხვავებული აზრის დაფიქსირებას ვერავინ ბედავდა, ამიტომ დააქციეს ქვეყანა, რომ ერთი ადამიანის აზრით იმართებოდა ქვეყანა. ახლა რაღა ხდება? რატომ დაერიეთ ერთმანეთს? მერე რა მოხდა, თუ კოალიციის წევრებს განსხვავებული პოზიცია აქვთ? ახლა აღარ არის დემოკრატია კოალიციაში თუ ამ განსხვავებული პოზიციების გამოხატვა აუკრძალეთ? თავად ფაქტი, რომ „რესპუბლიკელებმა" კოალიცია „ქართული ოცნებისგან" განსხვავებული კანონპროექტი წარმოადგინეს, ნამდვილად არ არის კოალიციის ღალატი**

# ღარიბაშვილის პროექტმა გაიმარჯვა

## რა მოხდება კოალიციაში?



**რაც ეს პარლამენტი არსებობს, მეორე შემთხვევაა, რომ კონკრეტული კანონის მიღებას ასეთი მძაფრი ვნებათაღელვა მოჰყვა. პირველად „ანტიდისკრიმინაციული კანონის" მიღებაზე იყო დიდი აურზაური პარლამენტში, მაგრამ ამგვარი ნამდვილად არ ყოფილა. ახლა დეპუტატები ერთმანეთის შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ და რას აღარ ეძახიან ერთმანეთს**

ის გარდა, მხარი დაუჭირეს „ნაციონალებმა", „თავისუფალმა დემოკრატებმა" და „ქართული ოცნების" სამმა დეპუტატმა – ელისო ჩაფიძემ, თამარ კორძაიამ და ივანე კილურაძემ.

რაც ეს პარლამენტი არსებობს, მეორე შემთხვევაა, რომ კონკრეტუ-აკი გაუჭირდებათ და თანამოაზრეები ამას ვერ გაუგებენ. გარდა ამისა, „რესპუბლიკელებმა" განხეთქილება კოალიციაშიც შეიტანეს და ეს, ერთი მხრივ კარგია, დღეს გამოჩნდა, ვინ ვისი მომხრე და ერთგულია, ამ კრიტიკულ მომენტში ვინ უმუხთლა კოალიციის ლიდერს, ირაკლი ღარიბაშ-ლად ასე არ არის საქმე. ზოგადად, პოლიტიკური კოალიციის შექმნას საფუძვლად ერთი პრინციპი უდევს. კოალიციის წევრი პოლიტიკური ძალები წინასწარ თანხმდებიან, რომ მთავარ საკითხებზე ერთნაირი პოზიცია უნდა დაიჭირონ და პარლამენტმა გამართულად უნდა იმუშაოს, კანონები უნდა მიიღოს, თორემ არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი პოლიტიკური კოალიციის შემადგენელ პოლიტიკურ ძალას არ ეკრძალება, რიგ შემთხვევებში, განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება, ანდა კოალიციის სხვა სუბიექტების პოლიტიკური გემოვნებისგან განსხვავებული კანონპროექტის მომზადება, ცხადია, თუ ეს ხალხსა და ქვეყანას სჭირდება. იქ, დასავლეთში, ამას დემოკრატიას ეძახიან, საქართველოში – ღალატს. რა ვიცი, ამ „ქართუ-ალიციაში მშვიდობა იყო, როცა რომელიმე მინისტრი ან დეპუტატი უმრავლესობის საწინააღმდეგო მოსაზრებას დააფიქსირებდა, მაშინვე გამოცვივდებოდნენ ამავე უმრავლესობის ლიდერები და აცხადებდნენ, ეგ ნორმალურია, კოალიცია დემოკრატიულ პრინციპებზეა დაფუძნებული, მერე რა, თუ ჩვენი გუნდის წევრმა განსხვავებული რამ თქვა, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარაო. ახლა რაღა ხდება? სააკაშვილის რეჟიმი სწორედ იმიტომ იქცა სისხლიან დიქტატურად, რომ მათ გუნდში განსხვავებული აზრის დაფიქსირებას ვერავინ ბედავდა, ამიტომ დააქციეს ქვეყანა, რომ ერთი ადამიანის აზრით იმართებოდა ქვეყანა. რატომ დაერიეთ ერთმანეთს? მერე რა მოხდა, თუ კოალიციის წევრებს განსხვავებული პოზიცია აქვთ? ახლა აღარ არის დემოკრატია კოალიციაში თუ ამ განსხვავებული პოზიციების გამოხატვა აუკრძალეთ? თავად ფაქტი, რომ „რესპუბლიკელებმა" კოალიცია „ქართული ოცნებისგან" განსხვავებული კანონპროექტი წარმოადგინეს, ნამდვილად არ არის კოალიციის ღალატი. ეს დემოკრატიაა და მეტი არაფერი. სხვა საქმეა, რა განზრახ-გამოწვილი მიზეზით დატოვეს კოალიცია. ახია, „ქართული ოცნების" ლიდერებზე, ირაკლი ალასანია და მისი გუნდი უნდა გაერიცხათ კოალიციიდან, მასთან მოლაპარაკებები არ უნდა გაემართათ. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შიშით, კოალიციის ლიდერებმა ეს არ გააკეთეს. სანაცვლოდ კი ის მიიღეს, რომ თავად „თავისუფალმა დემოკრატებმა" დაურტყეს პენალტი – კოალიცია დატოვეს და რამდენიმე დღე პარლამენტი უმრავლესობის გარეშე დარჩა. ახლა იმავე შეცდომას უშვებს „ქართული ოცნება" „რესპუბლიკელებთან" მიმართებაში. ერთი რუსული გამონათქვამია, თუ ერთსა და იმავე შეცდომას ორჯერ უშვებ, პირველად ეს შეცდომაა, მეორედ კი შენი არჩევანიო. მართლა ასე გამოდის. „ქართული ოცნება" შეცდომას კი აღარ უშვებს, ეს უკვე მისი არჩევანია, რასაც აკეთებს. რას აკეთებს? რას და „რესპუბლიკელებს" თავზე ხელს რომ უსვამს იმავე მიზეზით, უმრავლესობა არ დავკარგოთ პარლამენტშიო. მართალია, თინა ხიდაშელმა პარლამენტში განაცხადა, რომ „რესპუბლიკელები"

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### „მოსმენებისგან 100 პროცენტით თავის დაცვა შეუძლებელია"




შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის მთავარი ამოცანაა, შეიქმნას სისტემა, რომელიც საფრთხის მინიმალიზების მოახდენს.

„უკანონო მოსმენებისგან 100%-იანი დაცვის სისტემის უზრუნველყოფა შეუძლებელია. მომზადებული ინიციატივით ამოცანა დგას იმგვარად, რომ შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მოახდენს, როგორც ადამიანის უფლებების ხელყოფის, ისე ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის თვალსაზრისით არსებული საფრთხის მინიმალიზებას. პირველ აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ანუ ე.წ. მოსმენების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვა დაევალა. დღესაც ყველა განჩინების ასლი, რომელიც ფარულ მოქმედებებს უკავშირდება, მიდის სწორედ პერსონალურ დაცვის ინსპექტორთან. აქ ლაპარაკია დამატებით მექანიზმზე, რაც მას ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობასაც მისცემს, რათა ყოველგვარი მანიპულაცია გამოირიცხოს. ლოგიკური და სამართლებრივად გამართლებულიც კი არის, რომ გარე კონტროლის მექანიზმი სწორედ ინსპექტორს ჰქონდეს". – განაცხადა იზორიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### დაპირისპირება მურმან დუმბაძესა და ეკა ბესელიას შორის



პარლამენტში, პლენარულ სხდომაზე დეპუტატ ეკა ბესელიასა და მურმან დუმბაძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ბესელიას თქმით, ვინც იმ კანონპროექტს დაუჭერს მხარს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა", „ნაციონალების" იდენტურები არიან.

აღნიშნულმა განცხადებამ მურმან დუმბაძის გაღიზიანება გამოიწვია:

„კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ პარლამენტში გამოდიოდეს კომისიის თავმჯდომარე და ჭკუას გვარიგებდეს. არასწორია საუბარია იმაზე, რომ, თუ „ნაციონალური მოძრაობა" რამე კანონპროექტს დაუჭერს მხარს და თუ ამავე პროექტს უმრავლესობის რომელიმე წევრიც უჭერს მხარს, მათი იდენტურია. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე კანონპროექტს, რომელსაც „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაუჭირა მხარი, ხმა ბესელიამაც მისცა. უნდა ჩავთვალოთ, რომ ისიც „ნაციონალური მოძრაობის" იდენტურია", – განაცხადა დუმბაძემ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

კოალიციას არ დატოვებენ, იმის მიუხედავად, თუ რომელ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი, მაგრამ თუ ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტი არ მიიღო პარლამენტმა, კაცმა არ იცის, რა მოხდება. ჯერ არ წაუღიათ თავიანთი სიტყვა უკან ჩვენს პოლიტიკოსებს?

რას ეფერებით და ვის ეფერებით? ადექით, გარიცხეთ კოალიციიდან, ხომ ხედავთ, რომ იმ პოლიტიკის წინააღმდეგ მიდიან, რასაც კოალიცია ახორციელებს ქვეყანაში? მეტი რაღა უნდა მოხდეს, რომ მოიცილოთ? უმრავლესობას მოჰკვდომია პატრონი, რომელიც ძალით შეკოწიწებულია და დღეს-ხვალ უეჭველად დაიშლება და კარგიც იქნება. მობეზრდა ხალხს ამგვარი სპეკულაციები, დასაშლელად განწირული, რაც მალე დაიშლება, მით უკეთესი. თუ პარლამენტს უმრავლესობა არ ეყოლება, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. ხალხის მოთხოვნაც ვადამდელი არჩევნებია. პარლამენტში ათასობით ადამიანის ხელმოწერაა შესული, რომლებიც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვენ. გარდა ამისა, თავად „ქართული ოცნების“ არაერთი დეპუტატი მომხრეა რიგგარეშე არჩევნებისა. ჰოდა, დალოცვილო, საფუძველი გაქვს, ადექი, დაშალე ეს პარლამენტი და ჩაატარე ახალი არჩევნები. აი, მერე ვნახავთ, ეს „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალები“ რამდენ მანდატს მოიპოვებენ პარლამენტში.

ვადამდელი არჩევნებია ერთადერთი გამოსავალი, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი კუთვნილი მიეზღოს. ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, „ქართული ოცნება“ თუ არ მოვა უმრავლესობით პარლამენტში, ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას მაინც მიიღებს, სადღეისო ვითარებით ასეა. პარლამენტში ეროვნული ძალებიც მოხვდებიან, რომლებიც უკვე 2 წელია, ხელისუფლებისგან „ნაცმოძრაობის“ გასამართლება-აკრძალვას კანონიერად ითხოვენ, მათი ლიდერების გასამართლებასა და ციხეში ჩასმას. ჰოდა, აი ამ ძალებს შეეკვრება „ქართული ოცნება“, პარლამენტში მათთან ერთად შექმნის კოალიციას და მაინც ქვეყნის მთავარი მმართველი ძალა იქნება. მერე კი, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას წინ აღარაფერი დაუდგება. აი, ეს არის ხალხის დაკვეთა და ამას ელოდება საზოგადოება და არა, ნებისმიერ ფასად უმრავლესობის შენარჩუნებას პარლამენტში.

თუმცა, სავარძელს ჩაბღაუჭებული „ქართული ოცნების“ არაერთი დეპუტატი არწმუნებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებს, რომ პარლამენტის დათხოვნასა და რიგგარეშე არჩევნების გამართვას დასავლეთი სკეპტიკურად შეხვდება, ამას ვერ გაგვიგებენ და ამ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგებაო. აი, ამით აშანტაჟებენ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის გარემოცვას. ეს არის ბლეფი. თუ პარლამენტი დასათხოვია, უნდა დაითხოვო. ხელისუფლების გავლენიან ლიდერებს, მედასავლეთეები „აბოლებენ“, თორემ არც არავინ გაგვიგებს ცუდად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვას. ეს პროცესი დასავლეთში დემოკრატიის თანამდევია და რაც იქ დემოკრატიულია, ის რატომ იქნება საქართველოში ანტიდემოკრატიული და ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ? ვიმეორებ, ამ ვერსიას ის პოლიტიკური ძალები „აწვებიან“, ვინც ბიძინა ივანიშვილმა ზურგზე მოიგდო და ისე შეიყვანა პარლამენტში, ვისაც არჩევნებში დამოუკიდებლად წარმატების მიღწევის შანსი არ აქვს, ვინც ბარიერსაც ვერ გადალახავს.



**სავარძელს ჩაბღაუჭებული „ქართული ოცნების“ არაერთი დეპუტატი არწმუნებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებს, რომ პარლამენტის დათხოვნასა და რიგგარეშე არჩევნების გამართვას, დასავლეთი სკეპტიკურად შეხვდება, ამას ვერ გაგვიგებენ და ამ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგებაო. აი, ამით აშანტაჟებენ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის გარემოცვას**

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37


**NOTICE OF APPOINTMENT OF THE LIQUIDATOROFNEEN PROPERTY HOLDINGS LTD (the "Company")**

Pursuant to Section 204(1)(b) of the BVI Business Companies Act, 2004, (as amended),

NOTICE is hereby given that Agnita Solomon whose address is at Mill Mall Tower, 2nd

Floor, Wickhams Cay 1, PO Box 4406, Road Town, Tortola, British Virgin Islands has

been appointed as the voluntary liquidator of the Company by Written Resolutions of the

Shareholder dated November 24, 2014.

Dated: November 24, 2014

**Agnita Solomon**
**Voluntary Liquidator**

**„Neen Property Holdings Ltd" ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ** შეტყობინება

**BVI** ბიზნეს კომპანიის 2004 წლის აქტის 204 პუნქტის (1) (ბ) შესაბამისად, გატყობინებთ, რომ აგნიტა სოლომონი, რომლის მისამართია: მილ მოლ თაუვერი, მე-2 სართული, ვიქამს ქეი 1, საფოსტო ინდექსი 4406, როუდ თაუნი, ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, დაინიშნა როგორც მოხალისე ლიკვიდატორი აქციონერთა 2014 წლის 24 ნოემბრის წერილობითი გადაწყვეტილების თანახმად.

**აგნიტა სოლომონი**
**ლიკვიდატორი**


# „ფონდი ნატახტარის“ მიზანი ზრუნველობამოკლებული მოზარდების გაძლიერება და მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაა“

## პროექტი „იზრუნე მომავალზე“ უკვე მეოთხე წელია, მიმდინარეობს

უკვე მეოთხე წელია, „ფონდი ნატახტარი“ პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ – ფარგლებში მზრუნველობამოკლებული მოზარდების გვერდში დგას და მათი მომავლის უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. რაც მთავარია, ამ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც „ნატახტარის“ ლიმონათს შეიძენს და თავისდაუნებურად, ქველმოქმედი და სიკეთის გამზიარებელი ხდება.




აქედან გამომდინარე, „ფონდი ნატახტარი“ საკუთარი საქმიანობის, მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის შეგროვილი და მათთვის დახარჯული თანხების სრულ ანგარიშს, ამომწურავ ინფორმაციას საზოგადოებას ყოველწლიურად აწვდის.

როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ანგარიში ფონდის, კომპანია „ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ წარმომადგენლებმა წარადგინეს.

აღსანიშნავია, რომ „ფონდი ნატახტარი“, პარტნიორებთან ერთად, მოზარდებზე ზრუნვას მომავალშიც აპირებს, რაზეც მხარეებმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღნიშნეს კიდეც. კერძოდ, მედიასა და საზოგადოებას მათ თანხის შეგროვების მეოთხე ტალღის დაწყების შესახებ აცნობეს.

ღონისძიებას ფონდის ფსიქოლოგთა გუნდის წევრები, ადგილობრივი პარტნიორები და ბენეფიციარებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს.



აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „ფონდი ნატახტარი“ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით 2010 წლის ნოემბერში დაფუძნდა. პროექტი „იზრუნე მომავალზე“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს და ხელს უწყობს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებს, მომზადებულები შეხვდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ყოველ წელს – ნოემბრიდან თებერვლამდე „ნატახტარის“ ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან თანხა ფონდში ირიცხება – თანხის რაოდენობა ბოთლის მოცულობის შესაბამისია – 0,33 ლ, 0,5 ლ, 1 ლ და 2 ლ 1, 3 და 5 თეთრი.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

– ფონდის მიზანია ზრუნველობამოკლებული მოზარდების გაძლიერება და მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. გასული წლების მანძილზე ჩვენ უკვე შევაგროვეთ 420 ათასი ლარი, ამჯერად კი მსურს, საზოგადოებას ვაცნობო, რომ თანხის შეგროვების მეოთხე ტალღა დაიწყო, რომელიც სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

ფონდის პარტნიორი „ჩვენი სახლი – საქართველო“ უშუალოდ ახორციელებს ამ პროექტს და თანხას განკარგავს. გვინდა, მოზარდებს ხარისხიანი სერვისი მივაწოდოთ და პროექტი ვრცელდება 15-18 წლის მოზარდებზე ვრცელდება. თითოეული მოზარდი ცალკე აღებული „ქეისი“ და შემთხვევაა, ამიტომ არ გვაქვს მათთან ერთიანი და ერთჯერადი მიდგომა. პროექტი მოზარდს მიჰყვება იქამდე, სანამ ის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად არ იქნება. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მომენტია, რომ მათზე ზრუნვა არ მთავრდება იმ დროს, როცა მოზარდი 18 წლის ხდება.

წელს ბენეფიციართა რაოდენობა 164-მდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულის ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლება. მინდა მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, საზოგადოებას, რომლის აქტიურობისა და ცნობიერების შედეგია ამ თანხის შეგროვება. ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, ვინც წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ერთი რამ გვაერთიანებს – ზრუნვა მომავალზე. დიდი იმედი გვაქვს, რომ წელს უფრო მეტი თანხა შეგროვდება და ყველანი ერთად უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ.

**მანანა ომარაშვილი ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი:**

– ჩვენი პარტნიორობის ისტორიას საფუძველი 2010 წლიდან ჩაეყარა, როდესაც კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, დახმარებოდა მოზარდებსა და ახალგაზრდებს ახალი ცხოვრების დაწყებაში. შეიქმნა ფონდი და იქმნება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კონცეფცია. ამის ავტორი იყო, ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

დღეს უკვე ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა მცირე ტიპის საოჯახო სახლი და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, რაც მართლა დიდი მიღწევაა.

*მიხეილ სახვაძე*

27 ნოემბერს დაახლოებით საღამოს 9-ის ნახევარზე პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის სხდომაზე, საპარლამენტო უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა. სხდომაზე კამათი „ნაციონალური მოძრაობის" წევრ ჩიორა თაქთაქიშვილსა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მერაბ კაჭახიძეს შორის დაიწყო. კაჭახიძემ თაქთაქიშვილს ავადმყოფი უწოდა. დეპუტატების კამათში „ნაციონალური მოძრაობის" სხვა წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ და კაჭახიძის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გაიწიეს.




რა ხდებოდა სხდომაზე? რა თქვა ისეთი თაქთაქიშვილმა, რასაც მერაბ კაჭახიძის ასეთი რეაქცია მოჰყვა?

„ალია" კომიტეტის თავმჯდომარეს, **ეკა ბესელიას** დაუკავშირდა:

— საკომიტეტო სხდომა მიმდინარეობდა, მეორე მოსმენით, სადაც „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ცდილობდნენ, სამუშაო გარემოდან პოლიტიკურ დებატებში გადაეტანათ პროცესი. დეპუტატ მერაბ კაჭახიძესა და „ნაციონალურ მოძრაობას" შორის კონფლიქტი ჩიორა თაქთაქიშვილის მორიგ პროვოკაციას მოჰყვა.

# რატომ უწოდა ჩიორა თაქთაქიშვილს დეპუტატმა კაჭახიძემ „ავადმყოფი"?



კომიტეტის სხდომაზე, უცებ, რამდენიმე დეპუტატი – გაბაშვილი, თევდორაძე, კანდელაკი, თარგამაძე და სხვები ერთად შემოვიდნენ და ვითარება დაიძაბა. სიტუაცია მანდატურის ჩარევით განიმუხტა. „ნაციონალური მოძრაობის" ამოცანა იყო სხდომის ჩაშლა.

**უფრო დეტალურად „ალიას" ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, გიორგი ვოლსკიც ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი რა თქვა ასეთი თაქთაქიშვილმა რასაც კაჭახიძის ასეთი რეაქცია მოჰყვა?**



— „კონფლიქტი არც იმხელა მასშტაბის არ იყო, როგორც ეს მედიასაშუალებებმა გააბუქეს. ჩიორა თაქთაქიშვილის ჩვეული მანერა ხომ იცით? მწარე და უზრდელობასთან ძალიან ახლო ციტატა წარმოთქვა, რომლის ყოველი მეორე სიტყვა იყო მწარე, უცერემონიო, აბსოლუტურად უტაქტო და შეურაცხმყოფელი, როგორც სჩვევია. რაზეც მერაბ კაჭახიძემ უთხრა, რომ ეს იყო ავადმყოფური საუბარი. ალბათ, მერაბ კაჭახიძეს არ უნდა ეკადრებინა მისთვის ეგ სიტყვა, მაგრამ ვფიქრობ, რაღაც სიტუაციამ განაპირობა.

ეს კონფლიქტი არ მოჰყოლია რაიმე პროფესიულ კამათს, არ იფიქროთ, რომ თემას ვაუბრალოებ, არ იფიქროთ ეს ერთი წუთითაც. „ნაციონალებს" კომიტეტის სხდომაზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სჩვევიათ... როცა არგუმენტები გამოეცლებათ, მათთვის დამახასიათებელია, რომ გადადიან შეურაცხმყოფელ განცხადებებზე. ჩიორასთვის ხომ საერთოდ, ეს ძალიან ჩვეულებრივი ამბავია.

სამწუხაროდ, მედიის დიდი ნაწილისთვის ეს სხდომა, ამ კონფლიქტის გამო, უფრო აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ვიდრე სხდომის შინაარსი და კითხვები, რომელიც თქვენ დამისვით, რატომ მოხდა და რა მიზნით დაპირისპირება, არავის დაუსვამს.

**— რომ ჩაცხრა სიტუაცია ამის შემდეგ კიდევ ხომ არ გაგრძელებულა?**

– იმ დროს „ნაციონალური მოძრაობის" წევრები მოცვივდნენ, შეიკრიბნენ, მაგრამ კონფლიქტი რომ ამოიწურა, გაგრძელება არ მოჰყოლია. სხდომა გაგრძელდა და მშვიდობიანად დასრულდა.

**— რა საკითხს იხილავდით?**

– იმ პროექტს, რომელსაც ჰქვია ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის პროექტი და ხვალ გაგრძელდება ამაზე საუბარი. ჩაატარეს კენჭისყრა, უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომიტეტზე, პროცედურით ამ თემის განხილვა აუცილებელი იყო. ამ თემის განხილვაში აჟიოტაჟის შემოტანა არგუმენტების გარეშე დარჩენილი „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესი იყო.

**ჟანა ასანიძე**
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მესტიაში სასწრაფო დახმარების ავტომობილი დაიწვა



მესტიაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. ინციდენტის დროს სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოძახებაზე მიდიოდა, რა დროსაც ავტომობილის აალება მოხდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაზარალებულა, თუმცა, სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს ავადმყოფისთვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

როგორც სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, მათ განკარგულებაში მხოლოდ ორი ავტომობილია, რის გამოც ვერ ხერხდება მოქალაქეებისთვის დროული მომსახურების გაწევა, შემთხვევის შედეგად მესტიის სამედიცინო სამსახურს მხოლოდ ერთი ავტომობილი დარჩა, რომლის მდგომარეობაც საკმაოდ ცუდია. (ნიუპოსტი)

## შვედეთის პარლამენტმა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა



საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება შვედეთის პარლამენტმა მოახდინა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადაწყვეტილებას მხარი 249 დეპუტატმა დაუჭირა. პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად კი შვედეთის მთავრობას რატიფიცირების პროცესის ტექნიკური მხარის დასრულება დაევალა.

ამ დროისთვის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის წევრმა 7-მა ქვეყანამ მოახდინა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რესპუბლიკური პარტია" არსად არ მიდის"



„რესპუბლიკური პარტიის" წევრი თინა ხიდაშელი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს „რესპუბლიკელები" უმრავლესობას ტოვებენ.

„რესპუბლიკური პარტია" არსად არ მიდის. „რესპუბლიკურმა პარტიამ" დააფუძნა „ქართული ოცნება" ბიძინა ივანიშვილთან ერთად. დააფუძნა იმ ღირებულებებისთვის, რომლის გამოც დაუპირისპირდნენ „ნაციონალურ მოძრაობას". ვრჩებით ამ ღირებულებების ერთგული, ვიბრძოლებთ ბოლომდე „ქართულ ოცნებაში" იმისთვის, რომ ეს ღირებულებები იყოს მთავარი პრიორიტეტი". – აღნიშნა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## „არა ოკუპაციას, არა ანექსიას"



ამ ლოზუნგით სამეგრელოში საპროტესტო აქცია გაიმართა. პროტესტის გამოსახატავად სიმბოლურად ენგურის ხიდი შეირჩა. აქციის მონაწილეებმა ცოცხალი ჯაჭვით საქართველოს რუკა ააწყვეს და ასე გააპროტესტეს საქართველოს ისტორიული რეგიონის, აფხაზეთის ოკუპაცია. არსებულ პრობლემაში, საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულეს.

აქციის მონაწილეთა თქმით, ჩუმი და შერჩევითი პოლიტიკით, ხელისუფლება კრემლის პოლიტიკას უწყობს ხელს და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად საკმარის განცხადებებს არ აკეთებს საერთაშორისო დონეზე. აქცია „ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებული იყო, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც და ენგურის ხიდზე გადმოსულებიც შეუერთდნენ. (ნიუპოსტი)

## დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს



დევნილებმა ზუგდიდში საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა სოციალურად დაუცველებზე ქულების არასწორი გადანაწილება გააპროტესტეს. მათი განცხადებით, ხელისუფლება კორუფციულ გარიგებაშია ჩართული და ხალხი, რომლებსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ეკუთვნის, სხვადასხვა მისამართებზე სპეციალურად დაარეგისტრირეს. საუბარია 60 ოჯახზე.

ეს დევნილთა ის კონტინგენტია, რომლებიც ხშირად საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ, მთავრობამ და აფხაზეთის განსახლების სამინისტრომ მათი გაჩუმებისთვის გარიგების მეთოდი გამოიყენა და მათ ეს ბინები კუთვნილებაში გადასცა.

დევნილების ის ნაწილი, რომლებსაც გაუსაძლისი პირობების გამო ეს ბინები უნდა გადასცემოდათ და უკვე შერჩეულები იყვნენ, ბინის გარეშე დარჩა. სწორედ ამ ნაწილმა გამართა დღეს აქცია ადგილობრივი გამგეობის წინ მდებარე შენობასთან. შემდეგ ისინი შეიჭრნენ დევნილთა განსახლების სამმართველოს უფროსის, ელდარ ღურწკაიას ოთახში და სპეციალური კომისიის შექმნა მოითხოვეს, რათა გადამოწმდეს იმ ხალხის სოციალური პირობები ვისაც ბინები გადაეცათ. (ნიუპოსტი)

## „პოლიტიკურ დიალოგზე მოსულ „ალასანიას განაბი“ დაახვედრეთ ოფისში“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ირმა ნადირაშვილი უმრავლესობის დეპუტატ ირაკლი სესიაშვილის განცხადებას გამოეხმურა:

„მინდა სესიაშვილს გამოვეხმაურო, მან ახსენა მაფიოზები და ქურდები. მოგიწოდებთ, რომ მაფიოზები და ქურდები თქვენკენ მოიკითხოთ. ამის დასტურად ბოლო მაგალითს შეგახსენებთ, როდესაც პოლიტიკურ დიალოგზე მოსულ ალასანიას „განაბი“ დაახვედრეთ ოფისში და ქურდული „სხოდკა“ მოუწყვეთ. ასევე, აუცილებლად მინდა გამოვეხმაურო ქალბატონ თინას, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიყენა საშუალება და კიდევ ერთხელ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ თავისი დამოკიდებულება და ზიზღი ბოლომდე გამოავლინა. ქალბატონმა თინამ თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ჩვენი პირადი ტრაგედია, ვერ დაგეთანხმებით გაიარეთ ქუჩებში და ნახეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს საქართველოს მოსახლეობის პირადი ტრაგედიაა. ამის დასტურად მე დავასახელებ ბოლოს გაფორმებულ ხელშეკრულებას და აფხაზეთის საბოლოო ანექსიას, ათასობით ადამიანს, რომლებმაც სამსახური დაკარგეს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და დღეს თავისი შვილებისთვის საყიდელი პურის ფული არ აქვთ. თქვენ საკონტროლო გასროლას ახორციელებთ მათზე, ლარის კურსით თამაშობთ და ამ გზით გინდათ ბიუჯეტის შევსება. ქალბატონმა თინამ ახსენა „ჩოქ ბჯენი“, ამაზე მხოლოდ შეგიძლიათ იოცნებოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჩოქ ბჯენში ვერასდროს ნახავთ. ის ამომრჩეველი, რომელიც თქვენ დააყენეთ „ჩოქ ბჯენში“ ზურგზე, სუფთა გდებით, პოლიტიკურ ტატამზე თქვენ აუცილებლად მოგიგებთ“, – განაცხადა ნადირაშვილმა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი თინა ხიდაშელის ოჯახისთვის არის ბედნიერება და პირადი კეთილდღეობა.

„ეს კეთილდღეობა იმდენად დიდია, ხანდახან გულში აღარ გეტევათ და უსუფაშვილის სიტყვების სახით „ნიუ-იორკ თაიმსის“ ნაყიდ გვერდებზე 250 ათასად იღვრება ხოლმე მადლობის სიტყვებად. რაც შეეხება თავად ამ მიმართვას, თქვენ ჩვენ გვიყურებდით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ დროს ებოდიშებოდით ბიძინა ივანიშვილს იმის გამო, რომ მისი პაჟის მიერ მომზადებულ კანონპროექტს, დღეს მხარს ვერ უჭერთ, მაგრამ ეგ არ გიშველით. გაიხსენეთ ალასანიას მაგალითი და თქვენც აუცილებლად გამოგყრიან იმ კოალიციიდან და ამიტომ გირჩევთ, რომ თქვენ თვითონ მიიღოთ ეს გადაწყვეტილება“, – განაცხადა ნადირაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)



## „ვირისგან წიხლი საწყენი არ არის“



ასე უპასუხა უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ უმცირესობის დეპუტატის ხათუნა გოგორიშვილის ნათქვამს მის ინგლისურთან დაკავშირებით.

„როგორც არ უნდა ცდილობდეს შეურაცხყოფის მიყენებას გოგორიშვილი, თაქთაქიშვილი და ნადირაშვილი, ამას ვერ მიაღწევენ, არა მარტო იმიტომ, რომ ვირისგან წიხლი საწყენი არ არის, არამედ იმიტომაც, რომ ეს ადამიანები ჩემთვის სიცარიელეები არიან“, – განაცხადა ბესელიამ.

ხათუნა გოგორიშვილმა ეკა ბესელიას კანონპროექტების ინგლისურად წერა ურჩია.

„ქალბატონო ეკა, მე მგონია, რომ ჩვენ, უბრალოდ, გვაქვს პრობლემა, გავიგოთ თქვენი საუბარი ქართულ ენაზე და ერთი კანონპროექტია დარჩენილი და იქნებ ინგლისურად წარმოადგინოთ. იმიტომ, რომ თქვენი ინგლისური გაცილებით კარგად გვესმის, ვიდრე თქვენი ქართული“, – მიმართა გოგორიშვილმა ბესელიას. (ნიუპოსტი)

## მინისტრის მიერ განთავისუფლებული გიორგი შოვნაძე თანამდებობაზე აღადგინეს



გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ხათუნა გოგალაძის მიერ განთავისუფლებული გიორგი შოვნაძე დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენილია. სასამართლოს გადაწყვეტილების გამო თანამდებობის დატოვება სააგენტოს მოქმედ უფროსს რატი ჯაფარიძეს 1-ელ დეკემბერს მოუწევს. ჯერჯერობით უცნობია, დაბრუნდება თუ არა შოვნაძე თანამდებობაზე. მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც მოქმედი უფროსი თანამდებობას დატოვებს.

„ბრალდება ეხებოდა არამიზნობრივ ხარჯვას, ეს ეხებოდა სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმის, ასევე ოკაცეს კანიონის მშენებლობებს, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელდა. სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ხათუნა გოგალაძის უსაფუძვლო ბრალდება ჩემთვის მიუღებელი იყო“, – აცხადებს შოვნაძე.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოფილი უფროსი თანამდებობიდან 2013 წლის მაისში, ხათუნა გოგალაძის გადაწყვეტილებით განთავისუფლდა. გამოძიება მას კონტრაქტორი ორგანიზაციების საგადასახადო შემოწმების არასრულყოფილად განხორციელებასა და არასწორ ხარჯთაღრიცხვას ედავებოდა. (ნიუპოსტი)

## დაკავებული მსაჯების საქმე 17 დეკემბრისთვის გადაიდო

ე.წ. ჩაწყობილი თამაშების საქმეზე დაკავებული მსაჯების საქმე 17 დეკემბრისთვის გადაიდო. მოსამართლე გიორგი დარახველიძის განცხადებით, 17 დეკემბრამდე მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ბრალდებულ მამუკა ურუშაძის ადვოკატის განცხადებით, ისინი შეიტანენ პროკურატურაში განცხადებას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. მამუკა ურუშაძის გარდა, შვიდივე ბრალდებულს პროკურატურაში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით განცხადება უკვე შეტანილი აქვს.

ადვოკატების განცხადებით, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით პროკურატურასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

# თიბისი ბანკი წარმოგიდგენთ „ფული და სურვილების“ ახალ სეზონს — ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად

თიბისი ბანკი აგრძელებს გასული სეზონის წარმატებულ პროექტს „ფინანსური რჩევები", ამჯერად უკვე ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად. პროექტი, ტრადიციულად, წარმოგიდგენთ პირადი ფინანსების მართვის საკითხებზე მოკლე, საგანმანათლებლო ვიდეოებს **youtube**-სა და **facebook**-ზე და ასევე სატელევიზიო შოუს „ფული და სურვილები".




გადაცემა ახალ წამყვანთან ერთად 30 ნოემბრიდან განახლდება და მაყურებელს მისი ნახვა შეეძლება ყოველ კვირას, 20:00 საათზე, ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში. ხოლო **youtube**-სა და **facebook**-ზე **ნათია ზედგინიძის ვიდეოების** ნახვა უკვე შესაძლებელია. გადაცემასა და ინტერნეტვიდეოებში ნათია ზედგინიძე პირადი ფინანსების მართვის ისეთ საკითხებს შეეხება, როგორებიცაა ფულის ყაირათიანად ხარჯვა, სესხების სწორად მართვა, დაზოგვა და ა.შ.

თიბისი ბანკმა პროექტი „ფინანსური რჩევები" წლის დასაწყისში სალომე შელიასთან ერთად დაიწყო. პროექტის პირველმა სეზონმა მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობა და ამასთანავე, საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. კერძოდ, ბრიტანული კომპანიის **BOC** ორგანიზებით გამართულ ბიზნეს დაჯილდოებაზე **Business brilliance Awards** 2014 გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი ამ ინოვაციური პროექტის შექმნისთვის დაჯილდოვდა.

პროექტის ახალი ავტორი და წამყვანი – ნათია ზედგინიძე წარმატებული ბიზნესკონსულტანტი და გამოცდილი ტრენერია. ჰქონდა წარმატებული საკონსულტაციო პრაქტიკა ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში **(CTC)** კომპანიების შიდა მენეჯმენტის სისტემების გაუმჯობესებისა და ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით. ნათიას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის, მაგისტრისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში. ასევე, ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნესსკოლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. აქვს ლექტორის მრავალწლიანი კარიერა.

– ჩემი მიზანია ადამიანებს ის ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო, რომელიც დაეხმარებათ ფინანსურად სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა ცხადია, ჩემი რჩევები ვერ იქნება უნივერსალური და ყველასთვის მისაღები, რადგან დამეთანხმებით, თითოეული ადამიანის სიტუაცია განსხვავებულია. ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი, თუკი მაყურებელი ჩემ მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და რჩევებზე დაყრდნობით მიიღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და იხელმძღვანელებს ამ ცოდნით სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის შერჩევისას თუ სარგებლობისას, – აცხადებს ნათია ზედგინიძე.

**თუ გსურთ, მონაწილეობა მიიღოთ გადაცემაში, გაუზიაროთ მაყურებელს თქვენი ისტორია და მიიღოთ სასარგებლო რჩევები, დარეკეთ ნომერზე – 2 777 000.**

# რატომ არ ცხადდება საერთაშორისო ძებნა სააკაშვილზე, რომელსაც მეხუთე ბრალი წაუყენეს?



მიხეილ სააკაშვილს რიგით მეხუთე ბრალი წაუყენეს, თუმცა პროკურატურა შიდა ძებნას ვერ გასცდა. როგორც ჩანს, „წითელ ცირკულარზე“ ყოფილი რეჟიმის „არქიტექტორების“ გადაცემას ამ პროკურატურის პირობებში აზრი ეკარგება. დავით კეზერაშვილის საქმესთან მიმართებაში საფრანგეთის სასამართლოში დამატებითი მასალები არ გაგზავნილა, ამიტომაც კეზერაშვილი თავისუფალია. შემდეგი იყო დათა ახალაია. როცა არ ხდება პირის ექსტრადირება, ამ გზით ძირშივე კვდება იმის ილუზია, რომ სააკაშვილზე გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა.

და მაინც, როდის უნდა გამოცხადდეს სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად „ალიამ“ პროკურატურის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს, ნათია რეხვიაშვილს ტელეფონი აუფეთქა, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი! შეტყობინებაც დავაწიეთ: „როდის აპირებთ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას?“, თუმცა, როგორც ჩანს, ნათია „ალიასთვის“ მიუწვდომელია. ისე კი, ნათია რეხვიაშვილო, თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ წარმოადგენთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ჩვენ გიხდით ხელფასს და ვალდებული ხართ, გვიპასუხოთ, ველარც კი ვითვლი, რამდენი თქვენისთანა გაგვისტუმრებია საჯარო სამსახურიდან, საჯარო სანაგვეზე, პრობლემა კი მაშინ ჩნდება, როცა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ხიდი ტყდება, ასე გააგრძელე, პროკურატურა, და სააკაშვილს თავი კვლავ პრეზიდენტი ჰგონია, პარლამენტში „ნაციონალები“ ხელებს გიბრახუნებენ და ძებნილთა მთავრობით უკრაინის ხელისუფლება კომპლექტდება, ვაი... და ვაი, თქვენს პატრონს!

ჰოდა და მთავარია... მოკლედ, პროკურატურის მორიგ საგანგებო ბრიფინგზე გვამცნეს, რომ სანდრო გირგვლიანის საქმეზე, მიხეილ სააკაშვილის მიმართ პროკურატურამ ბრალდების დადგენილება გამოიტანა.

განცხადებაში წერია: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან. კერძოდ, ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარება და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება განხორციელდა სახელმწიფო უწყებებისა და მათი ხელმძღვანელი პირების: შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის დავით ახალაიას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩანა ახალაიას, გენერალური პროკურატურისა და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად. 2008 წლის 24 ნოემბერს, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბოროტად გამოიყენა რა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, დავით ახალაიასთვის წინასწარ მიცემული უკანონო დაპირების შესაბამისად, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეიწყალა და საპატიმრო სასჯელები გაუნახევრა მსჯავრდადებულებს: გერონტი ალანიას, ალექსანდრე ლაჭავას, მიხეილ ბიბილურიძესა და ავთანდილ აფციაურს, რის შემდეგაც მათ მიმართ შესაძლებელი გახდა ვადამდე პირობით განთავისუფლების სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება და ისინი განთავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან დაპატიმრებიდან 3 წლისა და 9 თვის შემდეგ. ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებების ერთობლივმა და ურთიერთშეთანხმებულმა დანაშაულებრივმა მოქმედებებმა, რასაც სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, განაპირობა ის, რომ ალექსანდრე გირგვლიანის საქმეზე არ განხორციელდა მართლმსაჯულება, მოხდა საქმის რეალური გარემოებების ფალსიფიკაცია და დავით ახალაიას და სხვათა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან აცილება, რამაც ალექსანდრე გირგვლიანის ოჯახის წევრების უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ალექსანდრე გირგვლიანის საქმეზე ახალი გარემოებების გამორკვევა და მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალდების გამოტანა მოხდა სტარსბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული განახლებული გამოძიების ფარგლებში, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ზედამხედველობას უწევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი. საქმეზე გრძელდება გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“.

ახლა გაიკარით ეგ განცხადება და მეორე საგანგებო ბრიფინგამდე და მეექვსე ბრალის წარდგენამდე იმეორეთ!

აბსოლუტური ძალაუფლებიდან ციხემდე ერთი ნაბიჯია, სააკაშვილი არ იქნება გამონაკლისი. როცა იქნება, გასუფთავდება პროკურატურა „ნაციონალების“ ჩანერგილი ადამიანებისგან და სააკაშვილიც შეუერთდება მსოფლიოში გასამართლებული პრეზიდენტების სიას:

1. ჟან ბედელ ბოკასა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1979 წლის გადატრიალების შემდეგ საფრანგეთში გაიქცა. 1986 წელს მმართველობის აღდგენის იმედით დაბრუნებული დააკავეს და 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

2. სლობოდან მილოშევიჩი, იუგოსლავიის პრეზიდენტი. კოსოვოს კონფლიქტის დროს მილოშევიჩი გაერო ჟენევის კონვენციის დარღვევაში, გენოციდსა და სამხედრო დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულა. მილოშევიჩის ხელისუფლების ჩამოგდების შემდეგ ის დააკავეს. 2006 წელს ის ჰააგის ციხეში გარდაიცვალა.

3. ალბერტო ფუხიმორი, პერუს პრეზიდენტი. მას ჰქონდა კავშირები კოლუმბიურ ნარკომაფიასთან. 2006 წელს მას 25-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

4. მოშე კაცავი, ისრაელი პრეზიდენტი. 2006 წელს სასამართლომ გარყვნილ ქმედებებში დამნაშავედ ცნო და 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

5. ჩარლზ ტეილორი, ლიბერიის პრეზიდენტი. მას ბრალს სდებდნენ კავშირში ალმასების მაფიასთან, სექსუალურ მონობასთან, მრავალ წამებასა და მკვლელობაში. 2012 წელს მას 50-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

6. ნამბარინ ენხბაიარი, მონღოლეთის პრეზიდენტი. 2012 წლის 1-ელ აგვისტოს უკვე ექსპრეზიდენტი კორუფციაში დამნაშავედ ცნეს და 4-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

7. ფერვეზ მუშარაფი, პაკისტანის პრეზიდენტი. 2009 წლიდან მასზე საქმეები იყო აღძრული სამშობლოს ღალატის ბრალდებით. 2013 წელს ის ლონდონიდან დაბრუნდა პაკისტანში, რათა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და დააპატიმრეს.

2014 წელი დაპატიმრებული პრეზიდენტების კალენდარში თავისუფალია, რა იქნება 2015 წელს, შეუერთდება თუ არა სააკაშვილი დაპატიმრებული პრეზიდენტების სიას? მეხუთე ბრალის წაყენების მიუხედავად, რატომ არ აცხადებენ მასზე საერთაშორისო ძებნას?

„ალიას“ ადვოკატი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს: „სამართლებრივად, სავალდებულოს არ ხდის კანონმდებლობა, რომ მაინცდამაინც გამოაცხადო, საერთაშორისო ძებნა მიხეილ სააკაშვილზე, ისევე, როგორც კანონმდებლობით არ არის აუცილებელი, რომ ძებნაში მყოფი ადამიანი დაუსწრებლად გაასამართლო, ამას წყვეტს პროკურატურა. მაგალითს გეტყვით, 20 წელზე მეტია იგორ გიორგაძე ძებნილია, ბრალი აქვს წაყენებული, მაგრამ დღემდე არ არის ის გასამართლებული. ასე რომ, ეს არის პროკურატურის პრეროგატივა. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, როგორც ჩანს, ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები საკითხს მომწიფებულად და პოლიტიკურად მომგებიანად არ თვლიან, რომ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს, სხვა ახსნა ამას არ აქვს, მას ვერ დააპატიმრებენ და ეს იქნება ფაქტი, როცა საერთაშორისო ძებნილი ივლის სხვადასხვა ქვეყნებში და მის ექსტრადირებაზე უარს იტყვიან წამყვანი ქვეყნები, ეს კი პოლიტიკურად წამგებიანი იქნება ამ თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, პოლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება და არა სურვილების ხელოვნება. საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, ხვდება, რომ მის შესაძლებლობას აღემატება სააკაშვილის დაკავება რომელიმე ქვეყანაში, იმიტომ რომ სააკაშვილი არის დასავლეთისა და აშშ-ს ფავორიტი, მათი მხრიდან „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული, სააკაშვილის დაჭერა, რბილად რომ ვთქვათ, ნიშნავს საკუთარი შეცდომის აღიარებას, რაზეც ისინი თვალებს ხუჭავდნენ. ფაქტობრივად, მათ მოუწევთ იმის თქმა, რომ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებდნენ, ან არ ვიცოდით, ეს კაცი რას აკეთებდა, დასავლეთისთვის კი ერთი გამოსავალია, თქვან ხელისუფლება მიკერძოებით უყენებს ბრალს სააკაშვილს და ჩვენ არ გვჯერა, რომ ის იყო ბოროტმოქმედიო... სანამ არ მოვა პოლიტიკოსების ახალი თაობა, რომლებიც არ იყვნენ შემჩნეული სააკაშვილის ლობირებაში, ვისაც დანაშაულის თანამონაწილის იარლიყი არ ექნებათ მიკერებული, მანამდე სააკაშვილს ვერ დაიჭერენ, რამდენიმე წელში შეიცვლება დასავლეთში და აშშ-ში პოლიტიკური კლასი და ამის შემდეგ შესაძლებელია, მომწიფდეს ეს საკითხი. დღეს ამის პირობები უბრალოდ არ არსებობს“.

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავარიის შედეგად მანქანაში მთელი ოჯახი დაიწვა




ბოლნისი-კაზრეთის გზაზე, სოფელ ცურტავთან ავტოსაგზაო შემთხვევას ცოლ-ქმარი და მათი 2 შვილი ემსხვერპლნენ. შემთხვევა 23 ნოემბერს მოხდა. ავტომობილი სავალი გზიდან მოცურდა და ხეს შეეჯახა. მანქანა ბუნებრივ აირზე იმყოფებოდა, რის გამოც შეჯახებამ ავტომობილის აალება გამოიწვია და მასში მყოფი მგზავრები ადგილზე გარდაიცვალნენ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის, უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რეგიონში არსებული პრობლემა მშვიდობიანი გზით უნდა მოვაგვაროთ“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, რუსეთ-აფხაზეთს შორის დადებულ ხელშეკრულების საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის აუცილებლობაზე საუბრობს:

„საგარეო პოლიტიკა, ქართული დიპლომატია მობილიზებულია იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოიპოვოს მხარდაჭერა, გამოიყენოს ყველა ფორმატი ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ხმამაღლა ისაუბროს ბოლოდროინდელ მოვლენებზე, საფრთხეებზე, რომელიც არის ქვეყანაში და ზოგადად რეგიონში, რათა შევძლოთ რეგიონში არსებული პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველაზე აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობით ვიმუშაოთ უთანხმოებების მოსაგვარებლად.

ქართული სახელმწიფოს პოზიციაა, გამოიყენოს ყველა საშუალება მხოლოდ მშვიდობიანი გზით და აქტიური თანამშრომლობით, ვიმუშაოთ ამ საკითხის დარეგულირებისთვის, ეს პროცესი არის ხანგრძლივი, საჭიროებს დიდ მოთმინებას და ამავდროულად გაათმაგებულ დიალოგს საერთაშორისო დონეზე“, – განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა. (ნიუპოსტი)

# როდის სვამდა „ნაციონალების“ მაგინებელი ომარ ნიშნიანიძე სააკაშვილის სადღეგრძელოებს?

**საპარლამენტო უმცირესობის წევრი, აკაკი ბობოხიძე პლენარულ სხდომაზე ხელისუფლებას აკრიტიკებდა, როდესაც ომარ ნიშნიანიძემ რეპლიკა ისროლა: „ნაციონალები“ ვისზე რას ლაპარაკობთ, მოეშვით მაგ უზნეობას“. რაზეც ბობოხიძემ უპასუხა: „უბედურება ისაა, რომ გიცნობთ ყველას. დღეში ხუთჯერ მოდიოდი და სადღეგრძელოებს მასწრებდი მიშასას. რა გჭირს? მაგით გინდა შენი წონა დაამტკიცო „ქართულ ოცნებაში“? ვერ დაამტკიცებ“...**

**რა ურთიერთობა ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ომარ ნიშნიანიძეს, რომელიც მუდამ მათ ლანძღვასა და კრიტიკაშია? რატომ წამოაძახა ბობოხიძემ სააკაშვილის სადღეგრძელოს დალევა? რა ურთიერთობა ჰქონდათ მათ წარსულში?**



**„ალია“ კაკო ბობოხიძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო კაკო, მართლა ამბობდა ომარ ნიშნიანიძე სააკაშვილის სადღეგრძელოებს?**

– მიშას სადღეგრძელოს მარტო ომარი კი არა, ნახევარი პარლამენტი სვამდა, რა იყო აქ გასაკვირი, რა გაგიკვირდა? ამით ვუთხარი მას, რომ არ ღირს აქტიურობა და ზედმეტად თავის გამოდება იქ, სადაც არ ღირს თავის გამოდება.

**— ის ყოველთვის გამოირჩეოდა თქვენი გუნდის კრიტიკით, მართლა დადიოდა თქვენთან და ამით იყო განპირობებული თქვენი წამოძახება, თუ აქ სხვა მიზეზიცაა?**

– ეს კრიტიკაა? ეს არის სწორედ წამოძახებები, რომელიც მიუღებელია ომარ ნიშნიანიძის მხრიდან... ფაქტი აღვნიშნე უბრალოდ. ადამიანები არ უნდა ცვლიდნენ თავის პოზიციებს იმის მიხედვით, ვინ რა თანამდებობაზეა. 28 წელია, მას ვიცნობ, ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობიდან და ახლა თქვენი ინტრიგა, რომ ამ საკითხს აღვივებთ, არ გამოგივათ (ტელეფონი გათიშა).

**არავინ არაფერს არ აღვივებს, იმის გარკვევა გვინდოდა, რა ურთიერთობა ჰქონდა ნიშნიანიძეს „ნაცმოძრაობასთან“ და რადგან ბობოხიძემ პასუხის გაცემა არ ისურვა, „ალია“ ომარ ნიშნიანიძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ომარ, მუდამ „ნაციონალებს“ აკრიტიკებთ და მათთან რამე ურთიერთობა გქონდათ?**

– მაგ უზნეო კაცს, ალბათ, ვინმეში ვეშლები. ისე, დიდი ხანია, ვიცნობ, ალბათ, 25 წელია. ეროვნული მოძრაობის ლიდერი ვიყავი დასავლეთ საქართველოში 80-იან წლებში, მაშინ კაკო ბობოხიძე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად. მაშინ მეხვეწებოდა, თუ შეიძლება, გვერდით დამიყენე და მასწავლე რაღაცებიო. მეც ვასწავლიდი. ქუთაისი იმ დროს იყო პირველი საპროტესტო აქციების ფლაგმანი და ყველა აქცია სულ ჩემი გაკეთებულია. ერთ-ერთმა პირველმა მაგან უღალატა გამსახურდიას და ქუთაისიდან კანონიერი ხელისუფლების დასახმარებლად წამოსულ ბიჭებს ხვდებოდა მცხეთასთან და თავებს უხეთქავდა, ჯიბეებს უსუფთავებდა მათ. აი, ასეთი კაცია კაკო ბობოხიძე. ღალატი დაუფასეს და შეიყვანეს ქალაქის საბჭოში, გემო გაუგო ძალაუფლებას და მას მერე ველარ მოაცილეს აქედან. თქვენ გახსოვთ, ალბათ, რა შეურაცხყოფებს აყენებდა ის ოპოზიციას, მუშტიკრივზე იყო გადასული და იცით, რაც უქნა პეტრე მამრაძეს. ეს კაცი არის უზნეობის მაგალითი თავიდან ბოლომდე.

**— სააკაშვილის სადღეგრძელოებს სვამდიო, ბობოხიძემ წამოგაძახათ. მართლა ასე იყო?**

– რაც შეეხება სააკაშვილს, 2003 წლის ვარდების რევოლუციაში კი ვიყავი გარეული, მაგრამ 2004 წლის შემდეგ მაგათ არ ვუტოვებ არაფერს, ვაგინებ მკვდარსა და ცოცხალს. როდის ისმებოდა მიშას სადღეგრძელო? 2004 წლამდე ვინ დალევდა, მე რომ დამელია? საიდან მოიგონა ეს, არ ვიცი.

**— „ალიასთან“ გაქვთ ნათქვამი, „ნაციონალების“ რეპრესიები ჩემმა ოჯახმაც გადაიტანა, სიძე დამიჭირესო, სულ მაგათ ლანძღვაში ხართ და ამის მერე კაკო ბობოხიძე რომ სააკაშვილის სადღეგრძელოების სმას წამოგაძახებს, თვალში საცემია.**

– რა თქმა უნდა, არ შეიძლება მაგათ ნებისმიერ ნათქვამზე გამოკიდება. ამ დღეებში ძალიან სერიოზული საკითხები იხილებოდა პარლამენტში და ჩვენ გვთხოვდნენ, რაც შეიძლება, ნაკლებად აფექტურები იყავითო. მე უბრალოდ ვერ მოვითმინე, ისეთ რამეებს შეეხო ეგ, თორემ ჩვენ გვქონდა შეთანხმება, რომ მაქსიმალურად არ ავყოლოდით მათ ასეთ რამეებში. იცით თქვენ, ეგენი როგორი გამომწვევებიც არიან. მისნაირები რომ ზნეობაზე ლექციას წაგიკითხავენ, კი უნდა გაგიჟდე კაცი. მოსმენებზე როგორ უნდა გელაპარაკებოდეს კაკო ბობოხიძე და მისი გუნდი? საწოლში და ტუალეტშიც გვისმენდნენ. ეგ ახლა ორმაგად გალიზიანებულია. ძმა დაუჭირეს და შეიძლება, მაგასაც მიადგნენ. მთელი გუნდი უზნეობას სჩადიოდა და დაუსჯელი დარჩა. ამიტომაა გამწარებული კაკო, მაგათთვის ახლა არის ბოლო გაბრძოლება. ეგენი ახლა, თავისი საქციელით, ქათმის არ იყოს, თავის დასაკლავ დანას გამოჩხრეკენ.

**— რას გულისხმობთ?**

– არ მინდა არც კაკოზე ბევრი ლაპარაკი, რადგან ამას არ იმსახურებს და მალე დაინახავს საზოგადოება, ეგენი რასაც მიიღებენ. ჩემი რეპლიკა იმან გამოიწვია მისი მისამართით, რომ უზნეოდ შეეხო ჩვენს უმრავლესობას. ჩვენს გადადგმულ ნაბიჯებზე თქვა, უკან მიდის ქვეყანაო. დაგვასამარა და ამიტომ ვესროლე რეპლიკა. რა უნდა ეთქვა ახლა მაგას მეტი? ქოსატყუილობას გაუვიდა ვადა.

**— რას აპირებთ მერე, ამ ქოსატყუილებთან დიდხანს ისხდებით პარლამენტში?**

– ჩვენ ბოლომდე მივყვებით მათ ლუსტრაციას.

**— ლუსტრირებულები არიან უკვე, ხალხმა იცის, ეს რა ძალაცაა. ამის მერე რას აპირებთ?**

– არჩევნებით დავამთავრებთ მაგას. საუბარია ვადამდელ არჩევნებზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები მაგათთვის იქნება სამარე, პოლიტიკური სამარე, თორემ ისე ვის რა სიკვდილად უნდა ეგენი? შეიძლება, რაღაც პროცენტი დავკარგოთ და ახალი ძალა შემოვიდეს, არც ეგ იქნება პრობლემა. აუცილებლად დავასამარებთ მაგათ.

**— ბობოხიძემ თქვა, ქულების დაწერა გინდა „ქართული ოცნების“ თვალშიო. წონა მართლა არ გაქვთ უმრავლესობაში?**

– ყველამ იცის, რომ ჩემთვის პარლამენტის სავარძელი პანაცეა არაა და ვინც მიცნობს, იცის, რომ პროფესორი ვარ, საკუთარი ინსტიტუტი მქონდა, ვცხოვრობდი ისე, როგორც საჭირო იყო. თუ დამიძახებენ, მე უნდა ვიყო იქ, სადაც ჩემს ქვეყანას სჭირდება. ამიტომაც ვიქნები შეურიგებელი და რადიკალური „ნაციონალების“ მიმართ, მათ ქვეყანა მიიყვანეს კატასტროფამდე. თავს არ დავზოგავ მაგათთან ბრძოლაში. დარწმუნებული იყავით, ამ ბრძოლას ჩვენი გუნდი ბოლომდე მიიყვანს. არ მოვისვენებ, სანამ „ნაციონალური“ მოძრაობა დამნაშავე ძალად არ გამოცხადდება და პირისაგან მიწისა არ აღიგვება. ესაა ქართველი ხალხის უმრავლესობის ნება და საქმეს მივიყვანთ ბოლომდე. ჩემს წონას რაც შეეხება, ზოგს მეტი წონა ექნება, ზოგს – ნაკლები, მე ჩემს საკეთებელ საქმეს ვაკეთებ. რა ვუყოთ ახლა, კაკო ბობოხიძის წონის თუ არ ვარ, უზნეობას წონა რად უნდა, რა გაუკეთებია მას ქვეყნისთვის? უზნეობაში შევეჯიბრო? რითაა მისი წონა დაფასებული? მე ჩემი კაცობით მოვდივარ! სახელმწიფოს ინტერესებია ჩემთვის მთავარი და არა - პირადი. 30 წელია ახალგაზრდებს ვზრდიდი ჩემს ინსტიტუტში და მან დამისახელოს, რა გაუკეთებია, ამის ფასი და ამის ტოლი რა გააკეთა? ან დღეს რას აკეთებს?



**„არჩევნებით დავამთავრებთ მაგას. საუბარია ვადამდელ არჩევნებზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები მაგათთვის იქნება სამარე, პოლიტიკური სამარე, თორემ ისე ვის რა სიკვდილად უნდა ეგენი? შეიძლება, რაღაც პროცენტი დავკარგოთ და ახალი ძალა შემოვიდეს, არც ეგ იქნება პრობლემა. აუცილებლად დავასამარებთ მაგათ“**

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართველი ხალხი თქვენს ხელისუფლებას არ მისცემს 4 წლის ბოლომდე მისვლის საშუალებას“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა აკაკი ბობოხიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან „რესპუბლიკელები“ გააკრიტიკა:

„ძალიან მეცოდებით, რომ ჩემი მოსმენა გიწევთ, ჩვენ ხომ საშინელი ადამიანები ვართ თურმე და დღეს ხმამაღლა ვლაპარაკობთ. რომაელი მონათმფლობელები მონებს ასმევდნენ და მერე შვილებს აყურებინებდნენ, როგორი ცუდია სიმთვრალე. ქალბატონო თინათინ, ჩვენმა ცუდმა მაგალითმა ნუთუ ველარ დაგანახათ, რა ცუდია ის, რასაც ახლა აკეთებთ? ჩვენ გაჩვენეთ ყველაფერი, რას უნდა აკეთებდეთ და რას – არა, მიუხედავად ამისა, ჯიუტად აკეთებთ ყველაფერს, რასაც არ უნდა აკეთებდეთ. აქ ვიღაცებს გეშინიათ, რომ თქვენი პოზიციები „ნაციონალური მოძრაობისას“ არ დაემთხვეს. როგორ დავიჯერო ეს ფარისევლური გამოსვლა, როდესაც პოლიტიკური ერთობა გააფორმეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ორ ფრაქციასთან“. – განაცხადა ბობოხიძემ.

აკაკი ბობოხიძე, ასევე, გამოეხმაურა გიორგი ვოლსკის, რომელმაც, ბობოხიძის აზრით, მისი სიტყვები დაამახინჯა და იმედი გამოთქვა, რომ ხალხი ამ ხელისუფლებას 4 წელიწადსაც არ აცდის.

„მე პირიქით ვთქვი, რომ თქვენი მმართველობა 4-წლიანი იქნება-თქო და იმედი მაქვს, ჩემი ნათქვამი არ განხორციელდება. გამოვიდა ბატონი ვოლსკი და აი, გადატრიალებას აანონსებსო. პირიქით ვთქვი, ბატონო გია, 4 წელი თქვენ, ალბათ, იქნებით-თქო და იმედი მაქვს, რომ თქვენი წინასწარმეტყველება, რომ მე შევცდები, გამართლდება და არც ერთ შემთხვევაში ქართველი ხალხი თქვენს ხელისუფლებას მართლა არ მისცემს 4 წელიწადის ბოლომდე მისვლის საშუალებას, იმიტომ რომ ეს ხელისუფლება არის საქართველოს ჩიხში შემყვანი“, – განაცხადა ბობოხიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მკვლელობების ყველაზე მეტი შემთხვევა 2007 წელს მოხდა



ორგანიზაცია **IDFI**-ის ინფორმაციით, მკვლელობის შემთხვევების მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2007 წელს მიაღწია – 249 მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემთხვევა მოხდა.

„მომდევნო წლებში მაჩვენებელი ეტაპობრივად იკლებდა და 2011 წელს მკვლელობის მხოლოდ 90 შემთხვევა ფიქსირდება საქართველოში. 2012 წელს კვლავ შეინიშნება აღნიშნული დანაშაულის მატების ტენდენცია, როდესაც 2011 წელთან შედარებით 13 შემთხვევით იმატა. სამწუხაროდ, შეუძლებელია მოცემული ტენდენციის უტყუარი შეფასება 2013-2014 წლებისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მოცემული წლების პირველი 10 თვის მდგომარეობით, თუმცა აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებული მკვლელობების შესახებ. მაგალითად, 2013 წლის 10 თვის განმავლობაში დაფიქსირებულია დაახლოებით იმავე ოდენობის მკვლელობის შემთხვევა, რაც 2012 წლის განმავლობაში სრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით მკვლელობების რიცხვი გაიზრდებოდა. განსხვავებული მდგომარეობაა 2014 წლის შემთხვევაში, როდესაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2014 წელს დაფიქსირებული მკვლელობების რაოდენობა შემცირებულია 20 ერთეულით“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გადაცემა „არჩევანში“ ნათქვამის გამო, რომ „სოჭში გაფორმებული ხელშეკრულება ჩვენი წარმატების ნიშანია“, ბევრმა გააკრიტიკა, გუშინ კი მისი გადადგომის მოთხოვნით აქციაც გაიმართა მის სამინისტროსთან.**

**რა მოხდა სამინისტროს მისაღებში?**

როგორ დასრულდა? მინისტრმა ზაქარეიშვილმა სხვა ვერაფერი მოახერხა და გადარეკა საცოდავ სადღობელაშვილთან, რომელმაც თავისნაირი უბედური, საწყალი ახალგაზრდები მოიყვანა და უბადრუკად შეეცადა ამ აქციის ჩაშლა.

**— აპირებთ აქციების გაგრძელებას?**

– ეს აქცია სოციალური ქსელით იყო დაანონსებული, მე მივედი, შეთა ანექსიასაც აპროტესტებთ. **ცოტა უხერხული ხომ არ არის თქვენი მხრიდან ამ ტონით საუბარი ამ საკითხზე?**

– მე გამოვირჩევი პოლიტიკური ნიშნით?

**— დიახ, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების, შეხედულების გამზიარებელი, ვცდები?**

– რატომ გამოვირჩევი პოლიტიკური ნიშნით?

ნება“, სადღობელაშვილი, ყველა ჩემი მეგობარია, მაგრამ ყველა ის ადამიანი, ვინც ამბობს, რომ კარგია, როცა რუსეთმა და აფხაზეთმა დადეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი იურიდიულადაც იკარგება საქართველოსთვის, ასეთი ადამიანი ჩემთვის არის მტერი, რა შუაშია პოლიტიკური მრწამსი. რომ მობრძანებულიყავით, ისეთ ადამიანებს ნახთქვენ რომ წერთ, ისე კი არა, როგორც ზემოთ მე დავწერე, ასე იყო, ასე! საუბრის ჩანაწერი მაქვს და შემიძლია, რასაც ვწერ, ნებისმიერ დროს დავამტკიცო.

**„ალია“ ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, აქციის მონაწილეს, ანი დარსალიასაც დაუკავშირდა:**

# „მინისტრი ზაქარეიშვილი უნდა გადადგეს!“

## რა უპასუხა პაატა ზაქარეიშვილმა „ალიას“

**რა სიცრუე გაავრცელა სოციალურ ქსელში „ალიასთან“ ინტერვიუს შემდეგ ჩვენმა რესპონდენტმა? რა ორგანიზაციები მოითხოვდნენ მინისტრ ზაქარეიშვილის გადადგომას? რა „მესიჯი“ გამოუგზავნა მინისტრმა „ალიას“ კითხვაზე: თქვენს გადადგომას მოითხოვენ, რას აპირებთ“?**




**„ალიას“ აქციის მონაწილე ლევან გახელაძე ესაუბრა:**

– პაატა ზაქარეიშვილის გადადგომის მოსათხოვნად, დამატებითი მიზეზების ძიება არ არის საჭირო, მის მიერ „რუსთავი 2-ის“ ეთერში გაკეთებული განცხადებაც კმარა საამისოდ. მისთვისვე იქნება უმჯობესი, თავისი ნებით გადადგეს. მის მიერ გაკეთებული უსინდისო განცხადებების შემდეგ, სახელმწიფო თანამდებობას არ უნდა იკავებდეს ეს ადამიანი. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსია თურმე ჩვენი საგარეო პოლიტიკის წარმატება ყოფილა, ეს იყო მისი საუბრის მთავარი შინაარსი. მე და ჩემს თანამოაზრეებს მიგვაჩნია, რომ ზაქარეიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება არის მოღალატეობრივი შინაარსის განცხადება.

**— და მაინც, რა აზრი ჰქონდა ამ აქციის გამართვას? კი იყო ულირსი განცხადება, მაგრამ, როგორ გგონიათ, რადგან აქცია გამართეთ და მოუწოდეთ, გადადგება ზაქარეიშვილი მინისტრის თანამდებობიდან?**

– იმდენად დამფრთხალი იყვნენ უწყების თანამშრომლები, რომ ჩვენ ოფიციალური წერილის გადაცემაც კი ვერ მოვახერხეთ. სამინისტროს მისაღებში, სამუშაო საათებში, დღის 5 საათზე, მისაღებიდან გაქრა ყველა პასუხისმგებელი ადამიანი, ვინც ვალდებულია, ჩაიბაროს მოქალაქისა და ყველა ოფიციალური წერილი. დარჩა რამდენიმე მცველი, რომლებიც პასუხს ვერაფერზე გვცემდნენ, მინისტრის მისაღებთან დაკავშირება ფოიეში განთავსებული ტელეფონებიდან შეუძლებელი გახდა უცებ. ყველაფერი კი იცით, ვუერთდი აქციას და ასე გამოვხატე ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია. მიმაჩნია, რომ ზაქარეიშვილის მინისტრის პოსტზე ყოფნა არის სახელმწიფოს ინტერესების ღალატი.

**— თუ ზაქარეიშვილი არ გადადგება, მაშინ რას იზამთ, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს გაუმართავთ აქციებს ზაქარეიშვილის გადაყენების მოთხოვნით?**

– თავისთავად, ეს იქნება ამ აქციის ლოგიკური გაგრძელება. სხვის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია ასეთია, რომ თავადვე მიიღოს ზაქარეიშვილმა ეს გადაწყვეტილება, თუ ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ყველა, ვისაც ამ პერსონის მიმართ პროტესტის გრძნობა აქვს, ბუნებრივია, მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, რომ გამოიყენოს თავისი უფლება და გადააყენოს ეს კაცი დაკავებული თანამდებობიდან.

როდესაც მინისტრი განცხადებას აკეთებს, რომ საოცარი მიღწევაა ქართული დიპლომატიისთვის ის, რომ რუსეთმა, ფაქტობრივად, შეიერთა აფხაზეთი და საზღვარი გადმოგვიწია... ადამიანი ამას ამბობს ცივსისხლიანივით, წარბიც არ უტოკდება და აქვს, როგორც ჩანს, აბსოლუტური დაუსჯელობის განცდა.

**— ბატონო ლევან, თქვენ პოლიტიკური ნიშნით ხართ გამორჩეული, სწორედ „ნაციონალების“ დამსახურებით დაიკარგა ის ტერიტორიები, რომელთა ანექსიასაც აპროტესტებთ.**

**— მეც ასე მიმაჩნია და ზოგადად, საზოგადოებას მიაჩნია ასე... მე ვუსმენ საზოგადოებას, ვკითხულობ...**

– თქვენ იცნობთ საზოგადოებას და საზოგადოების სახელით შეგიძლიათ გააკეთოთ ეს განცხადება?

**— უკვე გითხარით, რომ მე გესაუბრებით საკუთარი სახელით...**

– ეს თქვენი პირადი შეხედულებაა და თუ ეს თქვენი პირადი შეხედულებაა საზოგადოების სახელით როგორ მელაპარაკებით? თქვენ რა იცით, მე საზოგადოება როგორ ადამიანად მიმიჩნევს, მე ნამდვილად არ ვიცი, საზოგადოება თქვენ როგორ ადამიანად მიგიჩნევთ და არანაირი ვალდებულება არ მაქვს თქვენთან ამ კითხვას ვუპასუხო...

აქ უკვე გახელაძემ ტელეფონი გათიშა. ჩავთვალე, რომ კითხვას გაექცა. დაახლოებით 5 წუთში, ალბათ, ტელეფონის გათიშვის გადაწყვეტილება ინანა და შეტყობინება გამომიგზავნა: გაითიშა და გადმომირეკეთო. გადავურეკე და საკმაოდ აგრესიული ტონით გააგრძელა საუბარი:

– რა შუაშია „ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობისაა“ აფხაზეთი და სამაჩაბლო? მე ვარ პატრიოტი ადამიანი და გავაპროტესტე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსია. ჩემი მოთხოვნები არის საქართველოს პატრიოტის მოთხოვნები, თუ ამ პატრიოტის მოთხოვნას უერთდება „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“, სადღობელაშვილი...

ავდით, რომლებიც 2007 წლის 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობდნენ, ისინიც „ნაციონალები“ არიან? მაგალითად, პარტია „თავისუფლების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები იყვნენ იქ, ერთ-ერთი 7 ნოემბერს სასტიკად არის ნაცემი, იცით? რა შუაშია აქ „ნაციონალი“, „ოცნება“, საქართველოს ართმევენ მიწას.

**— გასაგებია თქვენი პათოსი.**

– დიდი მადლობა, თუ გასაგებია! (ტელეფონი ისევ მომენტალურად გათიშა).

**საუბრის დასრულების შემდეგ რამდენიმე წუთში გახელაძემ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ასეთი სტატუსი „გამოაცხო“: „ალიას“ ჟურნალისტი მირეკავს:**

**— (ალია) ბატონო ლევან, თქვენ „ნაციონალებთან“ ასოცირდებით და დღევანდელი აქცია (ზაქარეიშვილის გადადგომის მოთხოვნით) მათთან შეთანხმებული იყო?**

– მე საქართველოს პატრიოტი ვარ და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსია გავაპროტესტე, რომელსაც საქართველოს მინისტრმა დიდი საგარეო პოლიტიკური წარმატება უწოდა.

**— (ალია) მეც ეგ ვიგულისხმე: პატრიოტული ლოზუნგებით ხომ „ნაციონალები“ გამოდიან...**

– აქციაზე „ნაციონალების“ წევრები და ლიდერები არ მინახავს. სამაგიეროდ, ისეთებიც იყვნენ, ვინც 2007 წლის 7 ნოემბერს „ნაციონალებს“ უპირისპირდებოდნენ, დაკავებულიც იყვნენ.

**— (ალია, დაბნეული და დაპაუზებული)... ჰო, მაშინ კარგად ბრძანდებოდეთ...“**

ბატონო ლევან, მოკლედ ვუპასუხებ თქვენს ამ უზნეო ქმედებას: 9 წელი გვატყუებდით „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად და როგორ არ დაიღალეთ ამდენი ტყუილით? ისე, ფანტაზიის უნარს ვერ დაგიწუნებთ, სათქვენოდ კარგად მოგიფიქრებიათ, რა დაგეწერათ, მაგრამ

**— ლევან გახელაძემ თქვა, რომ ზაქარეიშვილმა დაგირეკათ და იმიტომ მოხვედით.**

– ზაქარეიშვილი რა შუაშია? სამინისტროსთან ახლოს გვაქვს ოფისი, მაღაზიაში ჩამოვედით და აქცია რომ შევნიშნეთ, დაგვაინტერესა, რა ხდებოდა, 20 კაცი იდგა, მივედით, ვიკითხეთ, რა ხდებოდა, შენობაში ხალხი იყო შესული, ჩვენც ავტომატურად შევედით, რადგან გარეთ მდგარმა ხალხმა არ იცოდა, რა ხდებოდა, რატომ იყვნენ მისულები და რა აქცია იყო. სამინისტროს ფოიეში დაგვხვდა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი, მეგი გოცირიძე, „თავისუფალი ზონიდან“ ბართაიას ხალხი, ასევე ახალგაზრდები „სამართლიანი თაობიდან“, ვიკითხეთ, რა ხდებოდა, პასუხიც კი არ მოგვცეს, არც გვითხრეს, რას აპროტესტებდნენ, ეგრევე წამოვიდნენ, თავდასხმაზე, სიტყვიერ შეურაცხყოფას რომ არ დაჯერდნენ გადავიდნენ ფიზიკურ დაპირისპირებაზე, მეგი გოცირიძემ ჩვენი ორგანიზაციის წევრს, ნინი ბუჩუკურს წიხლი ჩაარტყა და მერე ბიჭებში გადაიზარდა დაპირისპირება. ჩვენ იქ არ მივსულვართ ზაქარეიშვილის დასაცავად. ვცდილობდით, გაგვეგო, რა ხდებოდა და მივიღეთ აგრესია. რა შუაში იყო ზაქარეიშვილი, ამით ცდილობდნენ, პროვოცირება მოეხდინათ. სულ რომ ყველა დამნაშავე იყოს ამ ხელისუფლებაში, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მისმა ლეკვებმა, დამქაშებმა, როგორ უნდა ისაუბრონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე? რა მორალით საუბრობენ ამ თემაზე, მათი პრეზიდენტი იყო, რუსეთს პირდაპირ რომ ჩააბარა ჩვენი ტერიტორიების 30%.

**„ალიას“ მინისტრის პოზიციაც აინტერესებდა და მასთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა ზარზე არ გვიპასუხა და შეტყობინება მივწერეთ: „ბატონო პაატა, თქვენ მიერ „რუსთავი 2“-ის ეთერით, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში გაკეთებული განცხადების გამო თქვენს გადადგომას მოითხოვენ, რას აპირებთ?“ პასუხად შეტყობინება მივიღეთ: „არაფერს ვაპირებ“.**

»»» დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## გირგვლიანის ოჯახი თაკო სალაყაიასა და სხვა პირების დასჯას ითხოვს

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები მიხეილ სააკაშვილის გარდა თაკო სალაყაიასა და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დასჯასაც ითხოვენ.

სანდრო გირგვლიანის ბიძის გიორგი ენუქიძის განცხადებით:

„ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის ეს სასჯელი ადეკვატურია. ყველამ კარგად იცის ის, რომ სააკაშვილი მართავდა ამ ქვეყანას და მისი მმართველობის ფორმა გულისხმობდა იმას, რომ ყველგან ყოფილიყო მისი წვლილი და ყველა საქმის შესახებ საქმის კურსში იყო. მან აბსოლუტურად ზედმიწევნით იცოდა ეს საქმეც. ველოდებით, რომ ამ საქმეში თაკო სალაყაია და სხვა პირებიც დაისჯებიან“, – განაცხადა ენუქიძემ.

ცნობისთვის: პროკურატურამ, მიხეილ სააკაშვილს, ბრალი სანდრო გირგვლიანის საქმეზეც წაუყენა. ამავე საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი უკვე დადგა ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას მიმართ, ხოლო დათა ახალაიას ბრალეულობას სასამართლო განიხილავს. (ნიუპოსტი)

კორტებთან მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი ხელისუფლებას მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით უმოქმედობაში ადანაშაულებს. ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის ახალი დადგენილების გამოტანის შემდეგ ის პროკურატურაში მივიდა. ვაზაგაშვილის განცხადებით, მკვლელობაში მონაწილე პირები დღემდე მაღალ თანამდებობებს იკავებენ. „პროკურატურასთან მაქვს უკმაყოფილება, ვინაიდან ჩემი შვილის მკვლელი ქალაქის სამმართველოს უფროსი დალაქიშვილია და დღემდე არ არის თანამდებობიდან გადაყენებული და პასუხისგებაში მიცემული, ამიტომ ვარ მოსული. უკვე ყელში ამოვიდა და ვეჭამენ და ხელის განძრევა არ უნდათ. რადგან ჩვენი არჩეული ხელისუფლების იმედი არ გვაქვს და ვნანობთ, რომ ყველაფერი ჩავდეთ მის მოყვანაში, უუნარო აღმოჩნდა, ამიტომ საზოგადოება ისევ ერთად უნდა დავდგეთ და ისევ ჩვენ თვითონ გამოვასწოროთ ყველაფერი. მე ვერ ვხედავ, რომ ჩვენი საშველი არსებობდეს. ხალხის მოსაწონი ხელისუფლება არასდროს ყოფილა, მაგრამ ახლა გვჯეროდა, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით მოვა ხელისუფლება, ხალხზე რომ იზრუნებსო. ძალიან შემცდარვართ თურმე. ამის სათქმელად ენა არ მიტრიალდება, მაგრამ რა ვქნა, რე-

**რატომ არიან გაჩუმებული?**

– ბიძინა ივანიშვილის გვერდით ვინც დგას დღეს ხელისუფლებაში, ყველას ერთად აჯობებდა ნინო ბურჯანაძე. სულ სხვა სურათი გვექნებოდა ახლა, ეგ რომ აგვერჩია. მე დავრწმუნდი, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, რომ თურმე ვიმართებით ქვეყნის გარედან და შიგნით თავის ნებაზე გვატრიალებენ. ჩვენ არავინ გვეკითხება არაფერს, თორემ როგორ შეიძლებოდა იმ ხალხის გვერდზე დაყენება, ვინც ახლა კოალიციაში არიან? უნდა მოვთხოვო მაგათ პასუხი, აუცილებლად, როცა სჭირდებოდათ ჩემი ოჯახის ტრაგედიას იყმეშველობით. როცა გაგიჭირდებათ, ქალბატონო მანანა, მაშინ რომ გახსენდებით, იქნებ იმ ტრიბუნიდანაც გაგეხსენებინათ, სადაც ხართ ხოლმე. ან პროკურატურისთვის მიგემართათ, გამოიძიეთ, არაფერი კეთდებაო. თურმე ფეხებზე ვეკიდეთ ყოველთვის. უარესები არიან „ნაციონალებზე“, მე ვერ ვხედავ ვერანაირ სხვაობას. ზურას სულს გეფიცები, „ნაცების“ დროს უფრო ძლიერი და შემართული ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ. ახლა ძალიან ცუდად ვარ. ყველა ჩემს დებად, ძმებად და თანაგუნდელებად მიმაჩნდა, თურმე მაშინაც გვღალატობდნენ, შინაურისგან ღალატი ჩივრებულია ეს საქმე. ხვალვე პირადად მოვიკითხავ ამ საქმეს აუცილებლად. ყველაფერს თავისი დრო აქვს, პროცესი დაუსრულებლად არ უნდა გაიჭიმოს. ამ ადამიანისა და სხვების საქმეზე უნდა იყოს დროული რეაგირება. გპირდებით, აუცილებლად მოვიკითხავ ამ საქმეს. ვერ გეტყვით, რომ აქამდე ამ საქმის დეტალებს ჩავუღრმავდი, ეს არ შედის ჩემს უფლებამოსილებებში. მე მხარე არ ვარ და ჩემს კომპეტენციაში რაც შედის, აუცილებლად დავინტერესდები. ქუჩაში ჩაცხრილეს ეს ადამიანები და პირდაპირ დამნაშავეებად გამოაცხადა ისინი სააკაშვილმა. მე

# იური ვაზაგაშვილი: „ამ ხელისუფლებას არ ვაპატიებთ ამ დაცინვას, ამ შეურაცხყოფას“

## რა შეუთვალა ვიცე-სპიკერ კობახიძეს ვაზაგაშვილმა და რას აპირებს კობახიძე?

**ღარ ვითმენ! დალაქიშვილმა პირველმა დაიწყო სროლა და ამასთანავე, მირზოევი რომელიც სპეცოპერაციაში მონაწილეობდა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეა. ამ სიტუაციაში რომელ გამოძიებაზეა ლაპარაკი?!“.**

**რაზე ესაუბრა ვაზაგაშვილი პროკურორებს? ვინ უშლის ხელს ობიექტური გამოძიების ჩატარებას? რას საყვედურობს მანანა კობახიძეს? რას აპირებენ შვილმკვდარი ოჯახები?**

**„ალიას“ ИУРИ ვაზაგაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო იური, რატომ გამოხვედით ასეთი იმედგაცრუებული პროკურატურიდან, რა საუბარი შედგა თქვენ შორის?**

– გამწარებული ვარ, არაფერი მითხოვია, სამართლიანობის აღდგენის გარდა. ამ ხელისუფლების 70% ჩვენს გვერდით იდგა, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, იგივეს ითხოვდნენ, ახლა სავარძელში ჩასხდნენ და აღარაფერი აინტერესებთ, უსინდისოდ იქცევიან. ქუჩაში დახვრეტილების ასობით ოჯახს აინტერესებს, აღდგება თუ არა სამართლიანობა ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს. არავინ პასუხს არ გვცემს არც ჩვენ, არც პოლიტპატიმრებს, არც ქონებაჩამორთმეულებს, ძალიან უკმაყოფილო ვართ.

**— რა გიპასუხეს პროკურატურაში?**

– პროკურატურაში მე და ჩემი ადვოკატი ვიყავით და ძალიან მძიმე საუბარი შედგა. სერიოზული პრეტენზიები მაქვს პროკურატურასთან, ეს ორგანო უმოქმედოა. 2 წელია ჩვენი დაფინანსებული ბიუჯეტის ფულს ალობას ვერ გაექცევი.



**— რა გითხრეს, პროკურატურაში, დაგპირდნენ, რომ საქმეს გამოიძიებენ?**

– რას უნდა დამპირდეს პროკურატურა? თავისი ვალდებულება არ უნდა შეასრულონ? მე ერთ იური ვაზაგაშვილს კი არ უნდა დამპირდნენ, უნდა აღდგეს სამართლიანობა ქვეყანაში. არ გამოვა ასე გაგრძელება, სადაც სამართალი არ არის, იქ ქვეყნის მშენებლობა არ გამოვა.

**— ვინ მფარველობს დამნაშავეებს, რატომ არ იძიებენ, თქვენი აზრით?**

– ვინ და, ჭიკაიძე. მე მქონდა მასთან შეხვედრა, მაქვს მტკიცებულებები, რომ სწორედ ჭიკაიძე მფარველობს მათ. ავაფრიალე მტკიცებულებები და რა მერე? ამ ქვეყანაში არც ხელისუფლებაა და არც ნორმალური ოპოზიცია. წარმოიდგინეთ, რამდენი თვეა ამას გავყვირი და ვინ მაქცევს ყურადღებას? ჭიკაიძე მიმტკიცებს, რომ 150 მეტრში იდგა კორტების სპეცოპერაციის დროს. იქვე იყო დალაქიშვილიც, რომელიც ახლა მაღალი თანამდებობის პირია. ავაფრიალე დოკუმენტები და მირზოევი მაინც დააწინაურეს.

**— ვერ ყოფილა საქმე კარგად, თავის თავს ხომ არ დააპატიმრებენ?**

– ამას ვამბობ მეც.

**— ბევრი დეპუტატი, რომელიც მაშინ თქვენთან ღამეებს ათენებდა და გვერდით გედგათ, ახლა ამ თემებზე ხმას არ იღებენ. მათთან არ გისაუბრიათ,** ენებდნენ ხელისუფლებაში მოსასვლელად და ახლა ჩუმად არიან. ეს ასე ადვილად არ ჩაივლის. ვინც მიცნობთ, ყველამ იცის, რომ არასდროს ვსაუბრობდი მხოლოდ ჩემი შვილის სახელით. მეტს ვსაუბრობდი სხვის შვილებზე, ვიდრე საკუთარ ზურაზე, რომელმაც ჩემი ცხოვრება დაასრულა. არ ვაპატიებთ მათ ამას. ჩვენ „ჯაზუში“ ვიკრიბებით და ვემზადებით. ამ ხელისუფლებას არ ვაპატიებთ ამ დაცინვას, ამ შეურაცხყოფას. ხელისუფლების 70% ყვიროდა ჩვენი შვილების სახელს და ითხოვდნენ სამართლიანობის აღდგენას. ახლა ენები ჩაუვარდათ, რა ჯანდაბა ხდება, რა სავარძელია ეს, რაც იქ დასხდნენ, სულ რომ დადუმდნენ. ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს ვუყურებდი ამას წინათ, იჯდა გიორგი ბარამიძესთან დებატებში. რომ გაუჭირდა დებატები, უთხრა, თქვენ ის არა ხართ, ქუჩაში რომ ვაზაგაშვილი ჩაცხრილეთო? ახლა კიდევ მივმართავ თქვენი ლატი ყველაზე მძიმეა. ეგენი ყოფილან გამყიდველები, ხმას რომ ახლა არ ამოიღებ, ხელისუფლებაში მყოფი, რაზე ვილაპარაკო? „ნაციონალების“ დროს ვიცოდი, რომ წინ მყავდა მტერი და ვებრძოდი მათ, ახლა დავინახე, რომ მეგობრებმა მიღალატეს. როგორ არ ვიყო ცუდად, როგორ? ეს უფრო მძიმეა ჩემთვის და ამას არ გაპატიებთ, კანცელარიასთანაც შევიკრიბებით, პარლამენტთანაც, ყოფილ პრემიერსაც მივადგებით.

**„ალია“ მანანა კობახიძეს დაუკავშირდა:**

**— იური ვაზაგაშვილი გსაყვედურობთ, როცა ბარამიძესთან კამათის დროს დასჭირდა, მაშინ გაახსენდა ჩემი შვილის მკვლელობა, საქმით კი არაფერს აკეთებსო.**

– ძალიან ვწუხვარ, როცა ამბობენ, რომ დამჭირდა და ვთქვი რამე. მე ყოველთვის ვიყავი ვაზაგაშვილის ოჯახის გულშემატკივარი, სულ თანავუგრძნობდი, როგორც წინა ხელისუფლების მსხვერპლს. ვწუხვარ, რომ აქამდე არ არის გამოძიებული ეს საქმე, ფაქტობრივად, ახლა მე მიწევს ამაზე ბოდიშის მოხდა და თავის მართლება. სამწუხაროა, რომ საგამოძიებო ორგანოების ნაცვლად დეპუტატს მიწევს განმარტების მიცემა, მე ვიცი, რომ გასაორგანიზაცია „42-ე მუხლში“ ვმუშაობდი, როცა ეს საქმე მოიტანა ბატონმა იურიმ და სრულიად უსასყიდლოდ გვინდოდა მისი დაცვა, მაგრამ შემდგომ სხვაგან წაიღო ეს საქმე. მაშინვე იკვეთებოდა ბევრი დარღვევა, ამაზე სულ გამოვთქვამდი წუხილს. მე შემიძლია ის, რომ ოფიციალური კითხვით მივმართო პროკურატურას ამ საქმის დეტალებზე. „ალიას“ მეშვეობით მინდა ვთქვა, რომ არასდროს გამოვიყენებ ადამიანურ ტრაგედიებს პოლიტიკური მიზნებისთვის, ამის საშუალებას არ მომცემს ჩემი მორალი. როგორც ვწუხდი მაშინ, ახლაც იგივე რეაქცია მაქვს და გავერკვევი. თავს არ ვიმართლებ.

**— ბატონი იური ხელს ადებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან. თუ დადასტურდა მისი ბრალდებები, თქვენ ჭიკაიძეს დაუპირისპირდებით?**

– თუ პირდაპირი შეხება აქვს დანაშაულთან, იქ რთულია ობიექტურობაზე საუბარი. ვერც იქნება ობიექტური შედეგი. თუ არ ჩავიხედე საქმის დეტალებში, ისე ვერ ვისაუბრებ. ახლა ჭიკაიძეზე წინასწარი განცხადების გაკეთება, სად იყო, არასწორია. გამოძიება უნდა ჩატარდეს, უდანაშაულობის პრეზუმფცია არ უნდა დაირღვეს. მე არ ვიცი, ჭიკაიძე იქ იყო, თუ არა, ამას სჭირდება გამოძიება. გავაკეთებ ყველაფერს, რაც როგორც დეპუტატს, შემიძლია.

**ჟანა ასანიძე**
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...



### სადარბაზოში ახალგაზრდა ქალბატონი გაძარცვეს

გორში, სტალინის გამზირზე ერთ-ერთ სადარბაზოში 37 წლის ქალბატონი ნ.პ. გაძარცვეს. მას ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა თავს. რომელმაც ნ.პ-ს 1000 ლარამდე თანხა და ძვირფასეულობა წაართვა. შემთხვევამდე ქალბატონმა ბანკიდან ფული გამოიტანა და სახლში ბრუნდებოდა. წყაროს ცნობით, სავარაუდოდ, მძარცველი ქალს მას შემდეგ აედევნა, რაც შენიშნა, რომ მან ბანკიდან თანხა გამოიტანა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება ძარცვის ფაქტზეა დაწყებული. (ნიუპოსტი)

### „ვისურვებდი, რომ პრემიერ-მინისტრმა იპრემიერმინისტროს“

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ზურაბ აბაშიძის თქმით, საქართველოში არსებულ არაფორმალურ მმართველობაზე ქვეყნის გარეთ ხშირად საუბრობენ.



„ძალიან ხშირად საუბრობენ არაფორმალურ მმართველობაზე, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში. ბიძინა ივანიშვილი კოალიციის დამფუძნებელია და ამ ორგანიზაციის მიმართ დიდი ვალდებულებები აქვს, ეს ნათელია. მე ვისურვებდი, რომ პრემიერ-მინისტრმა იპრემიერმინისტროს, ყველა მინისტრმა იმინისტრონ და არ იყოს დამოკიდებული ვიღაც გარე პირებზე. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ ვიღაცისგან რჩევის მიღება და კონსულტაციების გამართვა დანაშაულია, მაგრამ ვისურვებდი, რომ თავისი ფუნქცია ყველამ ეფექტურად შეასრულონ“, – განაცხადა აბაშიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### სტუდენტების მხარდაჭერა გაფიცულ რკინიგზელებს



სხვადასხვა სტუდენტური ორგანიზაციების წევრები სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიკრიბნენ და რკინიგზის დეპარტამენტის გაფიცულ თანამშრომლებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

სტუდენტებმა რკინიგზის სამსახურის თანამშრომლების მხარდასაჭერად ტრანსპარანტები გამოფინეს და რკინიგზის დეპარტამენტისკენ გაემართნენ. მათ მოუწოდეს რკინიგზის დეპარტამენტს, რომ დროულად დაიწყოს მოლაპარაკებები თანამშრომლებთან. სტუდენტების მოთხოვნაა, რომ უპირობოდ მოხდეს გაფიცული თანამშრომლებისთვის სახელფასო ოდენობის გაზრდა და ანაზღაურებული იქნას მათთვის ზეგანაკვეთური სამუშაო საათები.

სტუდკავშირის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ადმინისტრაციის წარმომადგენელთან, თუმცა, როგორც სტუდენტები აცხადებენ, ამ შეხვედრებს კონკრეტული შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. (ნიუპოსტი)

## ღალატის გამო დანგრეული ცნობილი ქართული ოჯახები



**ღალატის გამო უამრავი ოჯახი ინგრევა. ხმამაღლა არ აღიარებენ, მაგრამ მესამე ადამიანის გამოჩენის გამო ცნობილი ადამიანების ოჯახებიც დანგრეულა.**

**გიორგი ყიფშიძე**

გიორგი და კრისტი ყიფშიძეები ერთმანეთს წლების წინათ სკანდალურად დაშორდნენ. მათი დაშორების მიზეზიც ღალატი გახდა, გიორგისა და კრისტის ცხოვრებაში მსახიობი ია სუხიტაშვილი გამოჩნდა. მოგვიანებით, იამ საჯაროდ აღიარა, რომ ყიფშიძეების წყვილმა სწორედ მის გამო დაანგრია ოჯახი. „ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ურთიერთობის ნიადაგზე დაინგრა მისი ოჯახი. გიორგი ჩემი პირველი სიყვარულია. ეს იცოდა მთელმა თბილისმა და ამას არ ვმალავდით. გვქონდა ძალიან კარგი სიყვარულის ისტორია, რომელიც ყოველთვის ძალიან კარგად გამახსენდება. გიორგიმ მერე მითხრა, რომ ამასთან დაკავშირებით დასამალი არაფერი ჰქონდა“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ია სუხიტაშვილმა. იასა და გიორგის დაშორების შემდეგ, გიორგი ყიფშიძემ ანი ჩიკვილაძეზე იქორწინა.

**თამრიკო ჭოხონელიძე**

თამრიკო ჭოხონელიძე და გია როინიშვილი ერთმანეთს წლების წინათ დაშორდნენ. გია როინიშვილმა თამრიკო ჭოხონელიძეს ეკა მამალაძესთან უღალატა. ეკა თამრიკოს მეგობარი იყო და სწორედ მეუღლისგან გაიცნო ის გია როინიშვილმა, 20-წლიანი მყარი ოჯახიც ამის შემდეგ დაინგრა. თამრიკო ჭოხონელიძემ არც მეგობარს აპატია ღალატი და არც ქმარს. შემდეგ იყო რთული პერიოდი, მაგრამ მეგობრების დახმარებით თამრიკო ჭოხონელიძემ ყველა პრობლემა გადალახა და ოჯახის უფროსობაც საკუთარ თავზე აიღო. რაც შეეხება ეკა მამალაძეს, ცნობილი გახდა, რომ მისი და გია როინიშვილის დაშორების მიზეზი ოლეგ მელნიკოვი გახდა. ამის შესახებ პრესაშიც დაიწერა, თუმცა მამალაძე ამას უარყოფს.

**ხატია შამუგია**

ხატია შამუგიასა და გურამიკო ლომიძის დაქორწინებას წლების წინათ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ისინი ყველაზე პოპულარული წყვილის სტატუსით სარგებლობდნენ. ხატია მაშინ „ფორტუნას“ მუსიკალური წამყვანი იყო, გურამიკო კი – მომღერალი და ერთმანეთი სწორედ კონცერტებზე გაიცნეს. მათ ურთიერთობას თითქმის მთელი შოუბიზნესი ხელს უწყობდა, თითქოს ბედნიერი წყვილი იყო, მაგრამ ბავშვის დაბადების შემდეგ დაშორდნენ. ამბობენ, რომ წყვილის დაშორების მიზეზი მესამე ადამიანი გახდა, ეს ადამიანი კი ქრისტინე იმედაძე იყო, რომელსაც გურამიკო ლომიძე სიურპრიზებით ანებივრებდა, უგზავნიდა ყვავილებს და ა.შ. როცა ამის შესახებ ხატიამ შეიტყო, ქმარს დაშორდა. მას შემდეგ წლები გავიდა, ხატიამ გურამიკოს ღალატი არ აპატია. გურამიკო ლომიძე ახლა ივანა მელაიზეა შეყვარებული. უახლოეს პერიოდში ისინი დაქორწინებას გეგმავენ. ივანა და გურამიკო ხელს პარიზში, ეიფელის კოშკზე მოაწერენ.

**მარიამ როინიშვილი**

მომღერალი მარიამ როინიშვილი 5 წლის წინათ გათხოვდა. მისი რჩეული მსახიობი გიორგი მახარაძე გახლდათ. წყვილმა ორი წელი იცხოვრა ერთად, შემდეგ კი დაშორდნენ. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ დაშორებულები ისე, რომ ამის შესახებ მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ. ამბობენ, რომ მარიამმა ქმარს ღალატი არ აპატია. თავად ამის შესახებ ისინი არასდროს საუბრობენ. გიორგი დაშორების მიზეზად ხასიათის შეუთავსებლობას ასახელებს.

**სალომე ქათამაძე**

მომღერალი სალომე ქათამაძე ქმარს ღალატის გამო დაშორდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ მესამე ადამიანი გიგი ზამთარაძისა და სალომე ქათამაძის ცხოვრებაში გიგის მხრიდან არ გამოჩენილა. ამბობდნენ, რომ გიგი ზამთარაძემ სალომეს მეგობარზე იეჭვიანა, რომელიც



ამერიკაში ცხოვრობს. სალომემ „**ambebi.ge**“-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკაში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი მისი მეგობარი იყო და ოჯახის დანგრევის მიზეზი ეს არ გამხდარა. ცოტა ხნის წინ კი სალომემ ნაწილობრივ, საჯაროდ დაადასტურა ეს ჭორი. გიორგი ბუჩუკური და სალომე ქათამაძე ამერიკაში ერთად ცხოვრობენ და მუსიკალური კარიერის აწყობასაც ერთად აპირებენ. „ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელთანაც ჯერჯერობით კარგი მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ ერთმანეთის მიმართ სიმპათიები უკვე გვაქვს. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. არ არის გამორიცხული, ჩვენი ურთიერთობა მალე სიყვარულშიც გადაიზარდოს. როცა ოჯახის შექმნისკენ მეორედ გადავდგამ ნაბიჯს, მხოლოდ და მხოლოდ ემოციებს აღარ ავყვები. ბევრ საკითხზე დავფიქრდები. გიორგიმ რითიც მომხიბლა, ეს მისი თვისებებია. ძალიან კეთილი, თბილი და გულახდილი ადამიანია. ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ქალბატონმა ნაირამ იცის ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე არ გვისაუბრია. თითქოს მე და გიო ჩვენთვის ვართ, მშვიდად და არავის ვაწუხებთ ჩვენი ურთიერთობით. ერთად დიდ დროს ვატარებთ და ეს ორივეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებს“, – აღნიშნავს სალომე ერთ-ერთ ინტერვიუში.

*ambebi.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანს იეჰოვას მოწმეები უპირისპირდებიან: „ვიღებ შენიშვნას...“



– „ფეისბუკში“ გამოხმაურება მოჰყვა ჩემი გადაცემის იმ ნაწილს, სადაც სტუმრად იყო იეჰოვას მოწმე, ახლა უკვე მართლმადიდებელი ტაქსის მძღოლი (კარუზო). მის მონაყოლსა და ჩემს ერთ რეპლიკას სწორედ მის მონათხრობზე მოჰყვა საზოგადოების ერთი ნაწილის კრიტიკა.

ეს გადაცემა კეთდება ადამიანებზე, მათ ისტორიებზე და მესმის, რომ ხშირად სხვისი ცხოვრების ეპიზოდი, ან ამ ეპიზოდის შეფასება არ მოგვწონდეს, მაგრამ ეს მათი ცხოვრებაა და ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ის ან გახადოს საჯარო, ან – არა. ის ჰყვებოდა საკუთარ რელიგიურ ცხოვრებაზე, რისი უფლებაც მას ნამდვილად ჰქონდა. წავიკითხე მოსაზრება, რომ უნდა გამეჩერებინა ის და მიმეცა შენიშვნა!

გაუგებარია, რესპონდენტს მის ცხოვრებაზე შოუს წამყვანმა შენიშვნა როგორ უნდა მისცეს! მხოლოდ იმიტომ რომ იეღოვა რელიგიური უმცირესობაა (საქართველოში) მის დადებით ან უარყოფით მხარეებზე არ ისაუბროს არავინ, ჩემთვის ესეც გაუგებარია!

რაც შეეხება ჩემს რეპლიკას, „ხომ არ მომივარდებიან, მეშინია იეღოველების“, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად იუმორში იყო ნათქვამი, იმ ვრცელ ისტორიაზე, რაც რესპონდენტმა მძაფრად მოჰყვა, ვიღებ შენიშვნას!

მე, როგორც გადაცემის წამყვანი და ავტორი ვაცხადებ, რომ მე და ჩემი გუნდი სრულიად ვემხრობით აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებას და მივიჩნევთ, რომ ყველა რელიგიური ჯგუფი არის ჩვენი საზოგადოების პატივსაცემი და განუყოფელი ნაწილი.

ჩვენ პატივს ვცემთ ყველა რელიგიურ უმცირესობას! – წერს „ფეისბუკზე“ ნანუკა ჟორჟოლიანი.

*reitingi.ge*

## რუსუდან გოცირიძე: ნეტა თუ იფიქრა ნანუკა ჟორჟოლიანმა, ხვალ იეღოვას მოწმე რამდენი ბავშვი ინატრებს სიკვდილს



ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემას „ფეისბუკში“ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე გამოეხმაურა.

ის წამყვანებს მოუწოდებს, გადაცემის მომზადებისას „ნაკლებრეიტინგულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან რამეზეც დაფიქრდნენ“.

– რა საინტერესოა, ნანუკა ჟორჟოლიანი ტაქსის მძღოლისადმი მიძღვნილი გადაცემის კეთებისას „იეღოველების სიბნელის“ შესახებ საზოგადოებისთვის „სახალისო“ ინფორმაციის მიწოდების გარდა, კიდევ რაზე იფიქრა? აჰა, გავიგეთ, რომ ამ რელიგიურ ჯგუფს, თურმე ხელოვნებაზე არაორთოდოქსული წარმოდგენები აქვს, გავიგეთ, რომ ოჯახი და რელიგია ამ კაცის ცხოვრებაში მტკივნეული საკითხებია...

ნეტა თუ იფიქრა ნანუკა ჟორჟოლიანმა, რომ ხვალ სკოლაში იეჰოვას მოწმე ბავშვს კლასელები ორმაგი ენთუზიაზმით დასცინებენ, მასწავლებლები კიდევ უფრო დიდი მონდინებით ეცდებიან „ჭეშმარიტ რჯულზე“ მათ მოქცევას, რამდენი ბავშვი ინატრებს სიკვდილს, რამდენი ბავშვი შეიძულებს მშობლებსაც, მასწავლებელსაც, ღმერთსაც და მთელ სამყაროს...

იქნებ ასეთი გადაცემების გაკეთებისას, საკუთარი რეიტინგის გარდა, სხვა, შეიძლება ნაკლებრეიტინგულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან რამეზეც დაფიქრდეთ ხოლმე ტელევარსკვლავები... – წერს „ფეისბუკზე“ რუსუდან გოცირიძე.

*news.ge*

## ვერიკო ტურაშვილი — „ლაშა შეშინებული არ გაქცეულა“



ვერიკო ტურაშვილი დეკემბერში გოგონას დედა ხდება. მომღერალი შვილს ქორწინების გარეშე აჩენს. შვილის მამა „რუსთავი 2“-ის ოპერატორი ლაშა ნაკაიძეა.

ვერიკო ტურაშვილი: არ დავდგები და არ ვილაპარაკებ იმას, რომ აბსოლუტურად ყველაფერში მართალი მგონია საკუთარი თავი და ლაშას ვადანაშაულებ. ვთვლი, რომ სამართლიანი ვარ, მაგრამ ეტყობა, ისეთ რაღაცებს ვითხოვ, რაც არ შეუძლიათ. რაც ჩემთვის სწორია და სხვასთან ურთიერთობაში არ უნდა შემეშალოს, იგივეს ვითხოვ ადამიანებისგან. შეიძლება ელემენტარული იყოს ჩემთვის გამაღიზიანებელი. შეიძლება რაღაცებს ვუღრმავდები, ეს ადამიანი კიდევ არ იყოს ასეთი ღრმა. ლაშა ზედაპირულად უყურებს რაღაცებს. ჩემი დამოკიდებულებები იყო ჩხუბების მიზეზი. არ მინდა დავკონკრეტდე. ალბათ, ჯობია ბრილიანტები ითხოვო კაცისგან, ვიდრე ასეთი რაღაცები. მივხვდი.

ლაშა შეშინებულს არ ჰგავს, ბევრი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ შეშინებული გაქცეულიყო, მაგრამ ასე არ მოქცეულა. დაუმორჩილებელი ქალიც არ ვარ. თუმცა უნდა ვთვლიდე, რომ ასეა საჭირო, მორჩილ ქალს ვერ ვითამაშებ.

*primetimenews.ge*

## ქეთა თოფურიამ მკერდი კიდევ ერთხელ გამოამზეურა



აზერბაიჯანელმა მომღერალმა ემინ აგალაროვმა საკუთარ რესტორანში, **Rose bar**-ში ახალი რუსულენოვანი ალბომის პრეზენტაცია გამართა.

34 წლის მომღერალმა ახალი კლიპიც წარმოადგინა, რომელშიც მთავარ როლში **А'Студио**-ს ქართველი სოლისტი ქეთა თოფურიაა.

ემინის საღამოს რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავები ესწრებოდნენ, მათ შორის იყო ქეთაც.

*ambebi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ფილმი ამ მსახიობების მონაწილეობით
2. მხ/ფ „101 ...“
3. მსახიობი უილ ...
4. ყვავის ბარტყი
5. მხატვარი ... ოქროპირიძე
6. მუსიკალური ვიდეოროლი
7. განგაშის მაუწყებელი ზარი
8. ატმოსფერული მდგომარეობა
9. მწვადი ამერიკულად
10. მსახიობი ... ჯენორია
11. თევზსაჭერი გემი
12. მსახიობი დემი ...
13. ცეილის ფიგურების მუზეუმის დამაარს.
14. მსახიობი ჯენიფერ ...
15. მსახიობი ალისა ...
16. საყოველთაო გამოკითხვა კენჭისყრით
17. ირლანდიის დედაქალაქი
18. კაზინოს თანამშრომელი
19. მსახიობი ... გარსია
20. სათევზაო მოწყობილობა
21. მსახიობი ბარბარა ...
22. ყველაზე დიდი სისხლძარღვი
23. ბაღჩეული
24. მომღერალი ... ბადურაშვილი
25. საკანი
26. მსახიობი სოფი ...
27. ბრმა გოგონა ჰიუგოს რომანში „კაცი, რომელიც იცინის“
28. რუსული საჭმელი
29. დახურული გადასასვლელი
30. მეცნიერება ცხოველების შესახებ
31. შტატი აშშ-ში
32. სატელეგრაფო ანბანის გამომგონებელი
33. მსახიობი ოთარ ...
34. მტაცებელი თევზი
35. შებოლილი ხორცი
36. მგალობელი ფრინველი
37. მხატვარი პაბლო ...
38. ბოსტნეული
39. ხორბლეულის შესანახი შენობა
40. ნოტი დოს ძველი ქართული სახელწოდება
41. მწერალი ... ბრედბერი
42. მისი დედაქალაქია ლიმა
43. ცური
44. ველები არგენტინაში
45. კბილის დამცავი ფენა
46. მსახიობი ... კერი
47. სოფელი დაღესტანში
48. ბუდისტი მღვდელი დალაი-...
49. მდინარე მოლდავეთში
50. პერის „საცოლე“ ძაღლი (ფილმიდ.)
51. ... ააგდო და თავი შეუშვირა
52. პოლიტიკური დოკუმენტი
53. კომპოზიტორი ... ყანჩელი
54. მსახიობი ... რაიკინი
55. თეატრის კოლექტივი
56. ფინეთი, ანუ ...
57. ლანგარი
58. ტბა დუშეთის რაიონში
59. დავით აღმაშენებლის სახელობ. უნივერს.
60. დღევანდელი ბირჟა
61. საგმირო ფოლკლორი
62. მსახიობი ... გიუნტერი
63. მეჩეთი ... სოფია
64. გეოგრაფიული ადგილი აზიაში: ტიბეტის ...
65. ღვინო, ..., ქალები
66. ღვთისმშობელი იტალიურად
67. ტომ ჰენქსი ფილმში „... გამპი“
68. დების ქმრები ერთმანეთისთვის
69. ცხოველების ექიმი
70. შექსპირი. „... არაფრის გამო“
71. სახურავის კიდეზე წარმოქმნილი ყინულის კონუსი
72. მსახიობი იულ ...
73. საყანედ გაჩეხილი ტყე
74. ... ფონ ბისმარკი
75. შესახედაობა
76. წოწოლები-ანი დედალი
77. ქალაქი ავსტრალიაში
78. მომღერალი ... მინოუგი
79. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი
80. ფინური მობილურების ფირმა
81. მსახიობი ... ოსეინი
82. ისრის წვერი
83. ლექსის ფორმა
84. უძველესი საბერძნეთი
85. მოკრივე ჯო ...
86. ამერიკული ავტომობილი
87. ილია ჭავჭავაძის პოემა
88. მსახიობი ბრიჯიტ ...
89. ნეტარ ... მორწმუნენი
90. სპორტის სახეობა
91. ჩანთოსანი დათვი
92. სამანიშვილების სიძე
93. ბოროტი არსება გერმან. ზღაპრებ.
94. დაწმენდილი შაქარი
95. სამღებრო ძველ თბილისში
96. მხ/ფ „... მოვიპაროთ მილიონი“
97. შხამიანი ხე
98. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
99. კამეჩის ნაშიერი
100. რეჟისორი ფედერიკო ...
101. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
102. ხეზე მომუშავე ხელოსანი
103. საზღვაო კურორტი ლატვიაში
104. რას აჭედებენ ჩაქუჩით
105. ... კუზანოვი
106. ბიჭუნა, იმოგზაურა ბატებთან ერთად
107. მსახიობი ... ჰერლი
108. ქიმიური ელემენტი ჰაერში
109. საძაგელი, ცუღლუტი ადამიანი
110. ხილი
111. გმირი: ცოტნე ...
112. მსახიობი ბრიუს ...
113. ლორის ცხვირი
114. მეგრული ხალხური სიმღერა
115. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
116. ხის ჯიში
117. ამფიბია
118. ბუნების დაცვა
119. აპრილი ძველქართულად
120. ექსპრომტი
121. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
122. ტყის ვაშლი
123. სანელებელი
124. საბუხჰანტრო ტერმინი
125. ცეკვა „მულენრუჟში“
126. ძვ. ქართ. სიმებ. საკრავი
127. ქაიფი, პურისჭამა
128. მაიმუნის სახეობა
129. ლითონის ფული
130. ქსოვილი ფანჯარაზე
131. მხედველობა, ანუ თვალის ...
132. სმენის ორგანო
133. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
134. კომპოზიტორი ... კალმანი
135. მექსიკელი ფერმერის სახლი
136. კერძების ჩამონათვალი
137. უფულოდ წაღებული საქონელი
138. ნიავი
139. ცხვირზე მოსაჭერი უყურო სათვალე
140. ზრდადაუსრულებელი ქათამი
141. ... გათეთრდების ყორანი
142. ლონდონის ცენტრი
143. ბედი
144. ქრისტიანთა წმინდა თასი
145. დაესმის არსებით სახელს
146. საჭმლის მომნელებელი ორგანო
147. ოპერის ტექსტი
148. ტაბლეტი
149. სახელმწიფო აზიაში

1. კათოლიკური წირვა
2. რაიონი აჭარაში
3. ტბა თბილისში
4. ფრინველი ეგვიპტურ მითოლოგ.
5. კომპოზიტორი გოგი ...
6. ცირკის ტანმოვარჯიშე
7. ძვ. ქართული თამაშობა ქამრებით
8. მხ./ფ. „მამლუქი". ... და გოჩა
9. სარეველას კაუჭიანი ნაყოფი
10. იაპონიის დედაქალაქი
11. ხორცმეტი კანზე
12. ცხენებშებმული ტრამვაი
13. მევიოლინე ... ისაკაძე
14. უკანონოდ მონადირე
15. საბჭოთა პერიოდის ქართ. საბავშვო ჟურნალი
16. იშვიათი, უჩვეულო მოვლენა
17. ცეცხლგამძლე კარადა
18. ... გვარზე ნტისო
19. ... ჰიტლერი
20. ოპერა „... გიუნტი"
21. ხელოვნური ვარცხნილობა
22. გახეხილი ნუშის ცომისებური მასა
23. „დიდოსტატის მარჯვენა". კონსტანტინე ...
24. მხ./ფ. „კერკეტი ..."
25. თოფის ხის ნაწილი
26. ოპერა „სევილიელი ..."
27. ქალაქი აშშ-ში
28. მხატვარი კლოდ ...
29. გასართობი ადგილი ...-პარკი
30. კუნძულ. სახელმწ. წყნარ ოკეანეში
31. ღილის შესაკრავი
32. ანტონ ჩეხოვი. „... ვანია"
33. წყლიანი ადგილი უდაბნოში
34. გადამშენებული ფრინველი
35. მსახიობი ჟან-პოლ ...
36. კომპოზიტორი ... რაველი
37. მსახიობი კარლო ...
38. პოეტი ... ტაბიძე
39. „ოსკარზე" წარსადგენი კატეგორია
40. შოკოლადის ხის ნაყოფი
41. რბილი ლითონი
42. ფოტოების გადასაღები ხელსაწყო
43. მხატვარი ... მოდილიანი
44. მხ./ფ. „ნატვრის ხე". მღვდელი
45. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
46. მეტეოროლოგიური მოვლენა
47. ადვილი, ანუ ...
48. მსახიობი ... ჭიჭინაძე
49. მგზავრობა გადაჯდომით
50. ნიკოლოზ გოგოლის მოთხრობა
51. რისგან დაამზადეს პენიცილინი
52. სმენის ორგანო
53. სახის ნაწილი
54. მწერალი ... ლინდგრენი
55. ინჟების კვანძოვანი დამწერლობა
56. გოია „შიშველი ..."
57. ნაკრძალი იმერეთში
58. მსახიობი რობერტ დე ...
59. რაზე აგებენ პარკეტს
60. რძის პროდუქტი
61. მაღალი სამხედრო წოდება
62. საქონლის წნიანი საკვები
63. ქალაქი კვიპროსზე
64. წყლის შინაური ფრინველი
65. ავსული არაბულ ზღაპრებში
66. თვალის ფერადი გარსის ანთება
67. პურის გასახუხი ხელსაწყო
68. ქრისტ. წმინდა თასი
69. ჰანს ქრისტიან ...
70. მდინარე ციმბირში
71. იაპონელის გამარჯვების შეძახილი
72. ფერადსაღებავიანი ფანქარი
73. უკუდო ამფიბია
74. სოფელი სურამთან
75. ტყის ვრცელი მასივი ციმბირში
76. მუშაობის საზომი ერთეული
77. ბოსტნეული
78. მსახიობი ... ჰეჩი
79. რუსი ილუზიონისტი
80. ... ულენშპიგელი
81. ბალანი, ბეწვი
82. ელვის ... პრესლი
83. სიყვარულის ღმერთიბიჭუნა
84. მაიმუნის სახეობა
85. დაბალი სამხედრო წოდება
86. მსახიობი მერილ ...
87. შუადღის დასვენება ცხელ ქვეყნებში
88. მთაში გაყვანილი გზა
89. ხურდა ფული საფრანგეთში
90. საზღვაო კურორტი თურქეთში
91. წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი
92. სახელმწიფო აფრიკაში
93. ჟაკ-... კუსტო
94. ბურღულეული
95. ვისიმე თანმხლები შეიარაღ. დაცვა
96. დინამიტის გამომგონებელი
97. სახელმწიფო ევროპაში
98. ვაზის მოლუსკი
99. იალქანი
100. ტოტალიზატორზე დადებული თანხა
101. განუმეორებელი ქმნილება (ხელოვნ.)
102. შვარცენეგერი „რკინის ..."
103. ფოსო მკლავის ქვეშ
104. ჩინეთის ლიდერი ... ძედუნი
105. ძვ. ქართული გუნდური ცხენოსნობა
106. მდინარე იტალიაში
107. დაკოდილი ცხენი
108. მესერი
109. ვახტანგ, იგივე ... კიკაბიძე
110. კოროზიის შედეგი
111. მსახიობი ტიმოთი ...
112. მსახიობი ჟერარ ...
113. შავი ფერის კენკრა
114. სხვისი ... ლობეს ჩხირი
115. დურბინდი
116. რთული მოსაწევი
117. მომღერალი სელინ ...
118. მიხეილ ჯავახიშვილი. „არსენა ..."
119. ბუნებრ. ლურჯი ფერის საღებავი
120. ბერძნ. ანბანის ბოლო ასო
121. ტელეკომპი
122. კალათბურთელი ზაზა ...
123. ციხესიმაგრე თბილისში
124. პოლონეთის დედაქალაქი
125. სახელმწიფო სკანდინავიაზე
126. ნაჯახი
127. ჰუნების ბელადი (ისტ.)
128. ჩილეში: ავგუსტო ...
129. მოდულებული ზეთი
130. ჯადოქარი
131. ზღვის ძუძუმწოვარი
132. ქალაქი იაპონიაში
133. ხმლის ტარი
134. გარეული ფრინველის მართვე
135. ადამიანის თავის ზემო ნაწილის თმა
136. პოეტი ... აბმადულინა
137. თხის ჯოგი
138. სოლჟენიცინი. „არქიპელაგი ..."
139. გამოკლების ნიშანი (მათემატ.)
140. რაიმეს გამოსადენი ფორმა
141. „... გინახავს, ველარ ნახავ"
142. ინერტული აირი
143. სატელეფონო სიტყვა
144. წყლის მოლუსკი
145. საქონლის დასამწყვდევი ადგილი
146. სია, ნუსხა
147. ღვინო პორტუგალიდან
148. გერმანული ავტომობილი
149. „შავყურა თეთრი ..."
150. შხამიანი გველი უდაბნოში
151. წინაღობის შებრუნებული სიდიდე
152. მსახიობი ... პაჩინო
153. სოფელი ლანჩხუთის რაიონში
154. შესახედაობა
155. ხის სოლი
156. სამხედრო კონფლიქტი
157. ყვავილი
158. მცირე არხი
159. დიდი საჯდომო შენაერთი



# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მომღერალი ფილიპ ...
2. მხ/ფ „...-ორკესტრი“
3. მსახიობი ჯორჯ ...
4. მზის საათი მოედანზე
5. ნადირობის ქალღმერთი
6. ზღვრული გარემოხაზულობა საგნებისა
7. ორგანული ნივთიერება
8. გულსაბნევი
9. შვედური საესტრადო ანსამბლი
10. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
11. ცოდვების გამოსყიდვის ფურცელი
12. ერთგვარი კანფეტი
13. ტყე იმერეთში
14. ალკოჰოლური სასმელი
15. ინერტული აირი
16. მდინარე გერმანიაში
17. მთა აფრიკაში
18. ტელეანძა მოსკოვში
19. მსახიობი მერილინ ...
20. სინთეზური ბოჭკო
21. ქვეყნის ისტორია
22. ცნობილი ციხე აშშ-ში
23. „ნათლია“ .. ვიტო კორლეონე
24. მეფის ვაჟი
25. მხატვარი ამედეო ...
26. პერუს დედაქალაქი
27. ტარზანის როლში ჯონი ...
28. სოხუმის ანტიკური სახელწ.
29. ვინი პუჰის ავტორი
30. პორტი დას. საქართ.
31. თეატრალური ქუჩა ნიუ-იორკში
32. რეპტილია
33. დირიჟორი ოდისეი ...
34. მოგზაური ნიკოლოზ ...
35. რეჟისორი აკირა ...
36. სამკურნალო მცენარე
37. მსახიობი მარლონ ...
38. გორკი. „... ჩუდრა“
39. ჭამის სურვილი
40. უცნობი ადამიანი
41. მდინარე საფრანგეთში
42. გალაქტიკა ანდრომედას ...
43. გოგოლის მოთხრობა
44. რიცხვები ... და კენტი
45. „ბითლზი“ რინგო ...
46. უბედურების სიგნალი
47. ... შანელი
48. მდინარე ქუთაისში
49. ნახ. კუნძული კანადაში
50. მომღერალი ... ჯონი
51. მსახიობი არკადი ...
52. რეჟისორი ... სკოლა
53. დათვის ნაშიერი
54. ამერიკელი მომღერალი ქალი
55. რეჟისორი დევიდ ...
56. კომპოზიტორი ... გაბუნია
57. მდინარე პოლონეთში
58. სალებავი. ჟანგ-მიწა
59. მსახიობი ... სმიტი
60. ამფიბია
61. სამკურნალო ბალახი
62. ინის საპირისპირო
63. შეძახილი ტკივილისას
64. კომპოზიტორი მიქაელ ...
65. ინჟინერი, რომელმაც ჰიპერბოლოიდი გამოიგონა (ალ.ტოლსტოის მიხედვით)
66. ქალაქი ნიდერლანდში
67. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
68. ურემი ... გადაბრუნდება
69. დიდი საჯარისო შენაერთი
70. რეჟისორი სანდრო ...
71. მეთილის, ანუ ... სპირტი
72. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
73. ავადმყოფური სიგამხდრე
74. შვედური ავტომობილი
75. ტიბეტური ხარი
76. მონეტების შემგროვებელი
77. სასახლე
78. თბილისის უბანი
79. ვრცელი ველები აფრიკაში
80. ისლანდიის დედაქალაქი
81. მოდელი ... კროუფორდი
82. უკრაინული ავტომობილი
83. მსახიობი ... ბრინერი
84. მსახიობი ... რივზი
85. ქალაქი ერაყში
86. ჰიპოპოტამი
87. „... მიღმა გაზაფხულია“
88. მწერალი კობო ...
89. სპექტაკლი „ძველი ...
90. მსახიობი ... ტაილერი
91. მწერალი ... ტვენი
92. ყინვაგამძლე სითხე
93. ყვავის ბარტყი
94. მსახიობი ... მინელი
95. ალკოჰოლური სასმელი
96. დიდი ოთახი, ანუ ...
97. მსახიობი კრისტოფერ ...
98. რეჟისორი კლოდ ...
99. ცხენებშებმული ტრანსპორტი
100. მთიდან არეკლილი ხმა
101. სახლის მიმდებარე ტერიტორია
102. მზესუმზირის ტკბილეული
103. ახალი წელი გურიაში
104. სოფელი ქარელის რაიონში
105. ერთგვარი ნამცხვარი
106. თენგიზ აბულაძის ფილმი
107. სტომატოლოგიაში: პირის ...
108. მისი დედაქალაქია ჰავანა
109. ტყის სული წვეტიანი ყურებით
110. მწერალი ფრანც ...
111. თაფლიანი ნამცხვარი
112. ქალის პირბადე
113. ქართ. ანბანის ბოლო ასო
114. მსახიობი ბენ ...
115. ფრინველის რქოვანა პირი
116. ველოდრომი
117. ცხარე სანებელი
118. უდაბნო პერუში
119. თევზის ჯიში
120. იაპონური ჭიდაობა
121. შტატი აშშ-ში
122. მწერალი ალფონს ...
123. მსახიობი ალენ ...
124. მსახ. ... კოლელიშვილი
125. მეტყველების ორგანო
126. ტუჩი
127. ძვ. თბილისური მიმართვა
128. იფის ციხეში: ... ფარია
129. ილფი და პეტროვი. „12 ...
130. მსახიობი ... ჰილი
131. ძაღლის ჯიში
132. მოტხილობის სამაგრი
133. მსახიობი ... შარიფი
134. პოლიტიკოსი ინდირა ...
135. თაღი
136. მსახიობი ოდრი ...
137. სერიალი „... ქალაქში“
138. „მატრიცა“ ჰაკერი
139. გოგებაშვილი. „... რა ჰქმნა?“
140. ქორბუდა ცხოველი
141. დაკო-დილი ცხენი
142. ... კუზანოვი
143. ძაღლის ნაშიერი

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## რუსეთში სექსშოპის მფლობელმა სასამართლოს აღმასრულებლებს ვალი რეზინის ქალებით გაუსტუმრა



ოჯახი ხრამიაო, ასე ამბობენ ხოლმე ნახევრად ხუმრობით და სანახევროდ, სიმართლეც ურევია ამ გამონათქვამში. ჰოდა, შეიძლება ვინმეს გამოადგეს კიდეც სექსთოჯინები, მაგრამ სასამართლოს აღმასრულებელი რომ ვალს ასეთი უჩვეულო „საქონლით“ მიითვლის, ცოტა უცნაურ საქციელად არ გეჩვენებათ?

ასეა თუ ისე, სწორედ რეზინის ქალებით გაისტუმრა ვალის ნაწილი რუსეთის ქალაქ ჩიტას მკვიდრმა, რომელიც სექსშოპის მფლობელი გახლავთ.

შესაბამისი უწყების განმარტებით, სექსშოპის მფლობელის ვალი დაახლოებით 90 ათასი რუბლი იყო, რომელიც ვერა და ვერ დაფარა.

იდეა, ვალის ნაწილი თავისი მაღაზიის პროდუქციით დაეფარა, მამაკაცს მაშინ გაუჩნდა, როცა სასამართლოს აღმასრულებლები მისი ქონების აღსაწერად ესტუმრნენ.

მის წინადადებას აღმასრულებლებში პროტესტი სულაც არ გამოუწვევია და სხვადასხვა სექსუალურ სათამაშოსთან ერთად, მათ 2 რეზინის ქალიც მიითვალეს.

კანონის თანახმად, ვალის სანაცვლოდ მიღებული პროდუქცია აუქციონზე გაიყიდება და მევალეების გასტუმრება ასე მოხდება.

***vesti.ru***

## იაპონელებმა გამოიგონეს ქამარი კუდით, რომელიც პატრონის აღგზნებისას ქიცინს იწყებს



როცა ძაღლები აქცინებენ კუდს, ასე ამბობენ, თამაში უნდა და მისი არ უნდა შეგეშინდესო... და იცით, როდის აქიცინებენ კუდს ადამიანები? რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ, რადგან ადამიანს ხომ კუდი არ აქვს? მოდით, ასე ვთქვათ – არ ჰქონდა, თორემ ამიერიდან კუდი ნამდვილად აქვს და მერე როგორი კუდი?!

როგორც ირკვევა, იაპონიაში გამოიგონეს ქამარი, რომელსაც კუდი აქვს მიმაგრებული და რომელიც მაშინვე ქიცინს იწყებს, როგორც კი პატრონში სექსუალური სურვილები იღვიძებს.

მოწყობილობა ადამიანის პულსს აკონტროლებს და მაშინვე, როგორც კი ის აჩქარდება, კუდიც მოქმედებაში მოდის.

გსურთ, მოსაუბრემ იცოდეს, რას გრძნობთ მის მიმართ, თან ისე, რომ ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ დაძრათ? მაშინ, იაპონელებს სწორედ თქვენთვის შეუქმნიათ „საქიცინო კუდი“.



სიახლის ავტორი იმედოვნებს, რომ მოწყობილობით ბევრი ახალგაზრდა მოიხიბლება, ყოველ შემთხვევაში, სახუმაროდ და სალაღობოდ კუდიანი ქამარი თუ ქამრიანი კუდი ნამდვილად გამოსადეგი რამეა.

***newsmake.net***

## 10 ყველაზე სასარგებლო ახლად დაწურული წვენი



სპეციალისტების განმარტებით, ახლად დაწურულ წვენს ადამიანის ორგანიზმში გაწმენდითი მექანიზმების ამუშავება შეუძლია, თუმცა ასეთივე შედეგის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია იმ სასმელებით, რომლებიც მაღაზიების დახლებზე უხვად არის ხოლმე გამოფენილი.

ასევე, უნდა ითქვას, რომ ნატურალური და რაც მთავარია, ახლად დაწურული წვენი ადამიანის ორგანიზმს ამარაგებს ფერმენტებით, მინერალებით, მცენარეული პიგმენტებით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გარდა ამისა, წვენები შეიცავს ვიტამინებს, რომელთა შორისაა ცე, ე, პე, კა და კაროტინი, რომლებსაც ადამიანის ორგანიზმი თავისით ვერ გამოიმუშავებს და ამდენად, აუცილებელია ისინი საკვებთან ერთად მივიღოთ.

გთავაზობთ მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფის მიერ შედგენილ რეიტინგს, რომელშიც 10 ყველაზე სასარგებლო ახლად დაწურული წვენი შედის:

1. ფორთოხლის წვენი შეიცავს დიდი რაოდენობით მცენარეულ ფლავონოიდებს, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას აფერხებენ.
2. ყურძნის წვენი სასარგებლოა თირკმლების, ღვიძლისა და ფილტვების დაავადებისას.
3. გრეიფრუტის წვენი აუმჯობესებს საჭმლის მონელებისა და კუჭის წვენის გამოყოფის პროცესს.
4. კარტოფილის წვენი არეგულირებს არტერიულ წნევას.



5. სტაფილოს წვენი დადებითად მოქმედებს მხედველობაზე.
6. კიტრის წვენი აძლიერებს ნერვულ სისტემას და ამცირებს ათეროსკლეროზის გაჩენის რისკს.
7. ქაცვის წვენი სასარგებლოა ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადებებისას.
8. ჭარხლის წვენი აუმჯობესებს ღვიძლის მუშაობას.
9. პომიდვრის წვენი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ასევე, კუჭში შეკვრის დროს.
10. კვახის წვენი სასარგებლოა თირკმლებისა და გულის დაავადებებისას.

***receptkulinar.ru***

## როგორი შეიძლება იყოს მისალმება?



სალამი ღვთისააო, ბევრჯერ გავიგონია და ესეც რომ არ იყოს, ნამდვილად არ გვესმის იმ ადამიანების, რომლებსაც გამარჯობის თქმა ეზარებათ და უფრო მეტიც – არ კადრულობენ.

სანამ ასეთების ფსიქოლოგიას ჩავწვდებოდეთ (იქნებ, არც ღირდეს), იმაზე მოგიყვებით, რომ მისალმება მსოფლიოს ხალხებს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და ძალიან საინტერესო აქვთ. უფრო მეტიც, მისალმების მანერითა და წესით, ადამიანის შესახებ ბევრი საინტერესო დეტალის დადგენა შეიძლება.

ბევრისთვის უსაყვარლესი რუსი მსახიობი იური ნიკულინი თავის წიგნში იხსენებდა, რომ მეორე მსოფლიო ომის პირველ დღეებში რუსეთის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი გერმანელი სამხედრო იპარებოდა, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცების ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. ერთ-ერთი ასეთი დივერსანტი ქუჩაში გენერალთან შეხვედრამ გამოააშკარავა: იმის ნაცვლად, რომ მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიეტანა, მან ხელი ზემოთ ასწია, ისე, როგორც გერმანიაში იყო მიღებული...

– ყველაზე მეტ ყურადღებას მისალმებას იაპონელები უთმობენ. ამომავალი მზის ქვეყანაში თავის დაკვრის სამი სახეობა არსებობს: საიკეირეი (ყველაზე თავმდაბალი), საშუალო თავის დახრა – 30-გრადუსიანი კუთხით და დაბალი – 15-გრადუსიანი კუთხით. ყველაზე თავმდაბალ მისალმებას იაპონელები ძალიან პატივსაცემი და მდიდარი ხალხის წინაშე იყენებენ.

– კენიურ აკამბას ტომში, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, უდიდესი პატივისცემის ნიშნად, შემხვედრს... სახეში აფურთხებენ. შეფურთხებით ესალმებიან ერთმანეთს კენიური მასაის ტომის წარმომადგენლებიც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ისინი ჯერ ხელისგულზე იფურთხებენ და შემხვედრს ხელს ასე ართმევენ.

– ცნობილი ფრაზა „მომენტო მორე“, როგორც ჩანს, ასევე მისალმებად გამოიყენებოდა: ასე ესალმებოდნენ ერთმანეთს შუა საუკუნეებში ტრაპისტების ორდენის წევრები. ბერები ერთმანეთს ახსენებდნენ, რომ ადამიანი ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს, რათა ცოდვების გამო იმქვეყნიური რისხვა არ დაიმსახუროს.

– ძალიან ორიგინალურად ესალმებოდნენ რუს სამშვიდობოებს იუგოსლავიაში: როცა ქვეყანას ნატო ბომბავდა, ადგილობრივები რუს სამხედროებს „ზდრავსტვუიტეს“ ნაცვლად „ეს-300“-ს ეუბნებოდნენ, რითიც იმაზე მიანიშნებდნენ, რომ დრო იყო, რუსეთს საპასუხო დარტყმები განეხორციელებინა. სხვათა შორის, გასული საუკუნის 30-იანი წლების გერმანიაში ბევრი სიცოცხლეს იგდებდა საფრთხეში, როცა მიტინგებზე „ჰაილ ჰიტლერის“ ნაცვლად „ჰალბ ლიტერს“ ყვიროდა, რაც ნახევარ ლიტრს ნიშნავს.

– აღდგომის კუნძულების მკვიდრების მისალმება: დგებიან ერთმანეთის პირისპირ, ხელებს მუშტავენ, ჯერ წინ, შემდეგ ზევით სწევენ, მუშტებს ხსნიან და ბოლოს ხელებს მოწყვეტით უშვებენ.

– ინდიელების არაერთ ტომის წარმომადგენლებს წესად აქვთ, უცხო ადამიანის დანახვისას ჩამუხლულები იქამდე დარჩნენ, სანამ ის არ მიუახლოვდება და შემხვედრს არ შეამჩნევს.

– ტიბეტელები ნაცნობთან შეხვედრისას მარჯვენა ხელით ქუდს იხსნიან, მარცხენას ყურზე იკიდებენ და ენას ჰყოფენ.

– არსებობს ახალ გვინეაში კოირების ტომი, რომლის წარმომადგენლებიც შეხვედრისას ერთმანეთს ნიკაპზე ულუტუნებენ.

– სამოაში ყველას გაანაწყენებთ, თუკი შემხვედრს დასუნვას არ დაუწყებთ.

– ახლა მცირე გიმნასტიკისთვის მოემზადეთ: ახალი ზელანდიის მაორის ტომის წარმომადგენლები ნაცნობთან შეხვედრისას დასაწყისში ხმამაღლა გაჰყვირიან, შემდეგ ხელისგულებს თეძოებზე ირტყამენ, მუხლებში მოხრილები ფეხებს მთელი ძალით ატყაპუნებენ, ბოლოს კი ღრმად ისუნთქავენ, თვალებს კარკლავენ და დროდადრო ენას ყოფენ.

სხვათა შორის, სპილოებს მისალმების გადაცემა 32 კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ. ზოგ შემთხვევაში მათი სიგნალი 150 კილომეტრზეც კი ისმის. სპილოები ამას ძალიან ადვილად აღწევენ: მიწაზე ფეხებს ატყაპუნებენ.

***uralweb.ru***

## კატების მოყვარულები ტვინის კიბოს რისკის ჯგუფში შედიან



საქმე ისაა, რომ კატის კუჭში აღმოჩენილია პარაზიტები, რომლებიც უქმნიან კიდეც ადამიანს ტვინის კიბოს გაჩენის საშიშროებას.

პარაზიტები, რომლებიც ფრანგმა მეცნიერებმა კატებს აღმოუჩინეს, სავსებით შესაძლებელია, ადამიანის ორგანიზმში აღმოჩნდნენ. ეტაპობრივად, ეს ფაქტი იწვევს მამაკაცებში ეჭვიანობისა და აგრესიულობის მატებას, ქალებში კი – ჰიპერსექსუალობას. თუმცა მოგვიანებით, ცვლილებები შიზოფრენიითა და ტვინის კიბოთი სრულდება.

რადგან ტვინზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმ სიახლეზეც გეტყვით რამდენიმე სიტყვას, რომლის ავტორებიც ამერიკელი მეცნიერები არიან. როგორც ირკვევა, მათ დაადგინეს, რომ ნევროლოგიური დაავადებებისგან ადამიანის თავის ტვინს მწვანე წიწაკა იცავს.

***woman.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– დილით გაგეღვიძება, საათს შეხედავ, 05:23-ია. 5 წუთით დახუჭავ თვალებს, გაახელ, საათს შეხედავ და უკვე 08:55-ია... ლექციაზე შეხედავ საათს 09:30-ია, 5 წუთით მილულავ თვალებს, გაახელ, ისევ შეხედავ საათს და... 09:30!!!

*****

აღსარებაზე:

– შევცოდე, მამაო – ცოლი მივლინებაში წავიდა, მე კი მას მოახლესთან ვუღალატე.

– რამდენჯერ?

– რამდენჯერ? კი მაგრამ მე აქ აღსარების სათქმელად ვარ მოსული, სატრაბახოდ კი არა!..

*****

– თქვენს ოჯახში თუ ცხოვრობს ვინმე, რომელიც ზედმეტად მიმნდობია?

– დიახ – ჩემი ქმარი. ყველა დღესასწაულზე ოქროს სამკაულებს მჩუქნის, მაგრამ როცა ვამოწმებთ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ვიღაცას ისევ ბიჟუტერია შეუტყუებია...

– ჰოო, თქვენს ოჯახში მართლაც ყოფილა ზედმეტად მიმნდობი ადამიანი...

*****

ტექნიკის მაღაზიაში:

– გაქვთ ტელევიზორი იდიოტობის გამფილტრავით?

– კი, ერთი ცალი შემოვიტანეთ საცდელად – ეგერ გდია კუთხეში, კვირაში მხოლოდ ერთხელ ირთვება ხოლმე, ისიც 15 წუთით...

*****

დიდმკერდიანი სტიუარდესა ღრმა დეკოლტეთი მგზავრისკენ დაიხარა:

– ჩაი თუ ყავა?

სახეგაბრწყინებული მგზავრი:

– და რომელი რომელშია?

*****



ჯერ კიდევ დაუბადებელი ტყუპები მუცელში ლაპარაკობენ:

– გჯერა სიცოცხლის გაჩენის შემდეგ?

– აბა, რა ვიცი... უკან ჯერ არავინ დაბრუნებულა და...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## პლანეტის ყველაზე მსუქანმა მამაკაცმა 292 კილო დაიკლო, მაგრამ ჯერ მაინც ისევ მსუქანია



იყო დრო, როცა ბრიტანელი პოლ მეისონის წონა 444 კილოგრამი გახლდათ, რის გამოც, ის არც თუ საპატიო – პლანეტის ყველაზე მსუქანი მამაკაცის წოდებით სარგებლობდა.

გასაგები მიზეზების გამო, პოლ მეისონს ჯანმრთელობის მდგომარეობა ხშირად უმძიმდებოდა, ერთხელ კი მისი კლინიკაში გადაყვანა გახდა აუცილებელი. სახლიდან რომ გაეყვანათ, მაშველებმა მხოლოდ ისღა მოიფიქრეს, რომ სახლის კედლის ნაწილი მოენგრიათ, რადგან კარში პოლი ვერაფრით გაეტია.



51 წლის პოლ მეისონის წონა ახლა უკვე 159 კილოგრამია. წონაში დაკლება მან ოპერაციის დახმარებით შეძლო. კერძოდ, ქირურგებმა ბრიტანელს კუჭი დაუპატარავეს, რომელიც დღეისთვის მხოლოდ ქათმის კვერცხის ხელაა.

პოლ მეისონს სურს, წონა 88 კილომდე შეიმციროს, რაც, როგორც მისი მკურნალი ექიმები ამბობენ, სავსებით შესაძლებელია. ერთი ეგ არის, სასურველ ფორმაში ჩასადგომად მას სიმსუქნის შედეგად დეფორმირებული კანის მოჭრაც მოუწევს.

პოლ მეისონის კიდევ ერთი სურვილია, ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცეს, რომლითაც „მოძმე“ პუტკუნებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს.

*ntv.ru*

## ოქსფორდის მამრობითი სქესის სტუდენტებს ლექციებზე კაბითა და კოლგოტით მისვლის უფლება მიენიჭათ



დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში დრეს-კოდი შეიცვალა, რომელიც ყველა სტუდენტს აუცილებელი ფორმის ჩაცმას ავალდებულებდა.

ფორმაში შედიოდა: მუქი ფერის კოსტიუმი, შავი წინდები და ფეხსაცმელები, თეთრი პერანგი და ჰალსტუხი-პეპელა მამაკაცებისთვის, მუქი კოსტიუმი კაბით ან შარვლით, თეთრი ზედა, შავი კოლგოტები ქალებისთვის.

დიდი ხნის მანძილზე ეს კანონი პროტესტს იწვევდა ჰომოსექსუალ, ლესბოსელ და ტრანსსექსუალ სტუდენტებში, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ აკრძალვა მათ უფლებებს ზღუდავდა, რაც, თავის მხრივ, სტრესულ მდგომარეობას იწვევდა და შესაბამისად, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შანსი კლებულობდა.

საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აკადემიური დრეს-კოდი შეცვალა და ამიერიდან მამრობითი სქესის სტუდენტებს შეუძლიათ ჩაიცვან კაბები და კოლგოტები, მდედრობითი სქესის სტუდენტებს კი – მამაკაცების კოსტიუმი და ჰალსტუხი-პეპელა.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

*euromag.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**28 ნოემბერი:** სადღეისოდ მნიშვნელოვანი არაფერი დაგეგმოთ. გააკეთეთ ის, რისკენაც გული მიგიწევთ. დღევანდელი თავქარიანობისთვის პასუხისგება არ მოგიწევთ.

**კურო 22.04-21.05**
**28 ნოემბერი:** ძალიან დიდი მოთმინება გმართებთ, რადგან არაერთი არცთუ სასიამოვნო მოულოდნელობაა მოსალოდნელი. თავი ხელში აიყვანეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**28 ნოემბერი:** როგორც ჩანს, საკმაოდ მომაბეზრებელი იქნებით და თქვენთან ურთიერთობა არ მოუნდებათ. თუ ასეთი პერსპექტივა არ გხიბლავთ, მოჩვენებითი კეთილმოსურნეობა მაინც უნდა გამოიჩინოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**28 ნოემბერი:** რა საქმეებიც არ უნდა გქონდეთ, აუცილებლად გამონახეთ დრო დასვენებისთვის. გადაიღლებით და სანანებელი გაგიხდებათ.

**ლომი 23.07-22.08**
**28 ნოემბერი:** დღევანდელი დღე გაგაკვირვებთ. შეეცადეთ, ურთიერთობებში გახსნილი იყოთ და განმარტოებას მოერიდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**28 ნოემბერი:** ცვალებად ხასიათზე იქნებით – თქვენი სურვილის მიხედვით. კარგი განწყობა არჩიეთ და ბევრ უსიამოვნებას დაივიწყებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**28 ნოემბერი:** თქვენი სურვილის მიუხედავად, ბევრი კონტაქტი და ურთიერთობა გექნებათ. თუ არ გსურთ კამპანიის სული და გული იყოთ, გაერიდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**28 ნოემბერი:** დროა, თქვენი ოცნებები სისრულეში მოიყვანოთ. ამის შესაძლებლობა მოგეცემათ და საწყენი იქნება, თუკი შანსს ვერ გამოიყენებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**28 ნოემბერი:** დღეს თქვენი ნებისმიერი სიტყვა და ქმედება შესამჩნევი და დაფასებული იქნება. დიდი ალბათობით, თქვენს გარშემო მყოფნი ამის გამო დაითრგუნებიან.

**თხის რქა 22.12-19.01**
**28 ნოემბერი:** თუ მოინდომებთ, დიდ სიამოვნებას მიიღებთ, რადგან საშუალება მოგეცემათ, მავანს უთხრათ – „ხომ გაფრთხილებდი!“ თუმცა, უმჯობესია, ამისგან თავი შეიკავოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**28 ნოემბერი:** გარშემომყოფებზე შთაბეჭდილების მოსახდენად დიდ დროს ნუ დახარჯავთ. ეს თქვენგან დამოუკიდებლადაც მოხდება.

**თევზები 19.02-20.03**
**28 ნოემბერი:** დღეს იღბალი თქვენ მიმართ შეიძლება მოწყალე არ იყოს. შეეცადეთ, ყველანაირ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს თავი აარიდოთ.

## დაზიანებული სისხლძარღვების აღდგენაში კაკაო დაგეხმარებათ



ამერიკელი მეცნიერების მიერ ახლად ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კაკაოს ფლავანოლები უაღრესად დადებით გავლენას ახდენს ადამიანებზე, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ.

კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ კაკაოს ყოველდღიურ მიღებას შეუძლია როგორც მინიმუმ, ორჯერ მაინც გაზარდოს ცირკულირებადი ანგიოგენური უჯრედების რაოდენობა, რასაც, თავის მხრივ, სისხლძარღვების აღდგენის პროცესის დაჩქარება მოჰყვება.

სპეციალისტების რეკომენდაცია ასეთია: მიიღეთ დღეში მინიმუმ ერთი ჭიქა კაკაო და ამით საკმაოდ სერიოზული პრობლემების მოგვარებას შეძლებთ.

*myjane.ru*

## ნარკოტიკულად სახიფათო საშუალებათა სიაში... საკვები შეიტანეს



კარგა ხნის წინ იყო, ყველი გააიგივეს ნარკოტიკთან, თითქოსდა, მიჩვევას იწვევსო. გაგვიკვირდა, კაცო, აბა, გაგონილა, ყველი ნარკოტიკად აღიაროს ვინმემ? გავიდა დრო და უფრო უარესად არ გაგვაკვირვეს? აიღეს და მთელი საკვები, თავის ყველიან, მუჟუჟ-ელარჯიან-აჯაფსანდალიანად ნარკოტიკულად სახიფათო საშუალებათა სიაში შეიტანეს.

– საკვებზე დამოკიდებულება გაცილებით საშიშია, ვიდრე ნებისმიერ სხვა საშუალებებზე, – ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.

კვლევის შედეგად მათ დაადგინეს, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს ერთხელაც კი არ გაკარებია, სიმპტომატიკა, რომელიც „აკრძალული ხილის“ მიღებას მოჰყვება, მაინც ნაცნობია. დამნაშავე კი ამაში შიმშილია.

– შიმშილის გრძნობასაც ზუსტად ისეთივე გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე, როგორც ნარკოტიკის მიღების სურვილს, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

მოკლედ, ყველანი ნარკომანები ვყოფილვართ, მაგრამ „განკურნების“ ხერხები, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არ არსებობს...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

*medkarta.com*



– მიწადასაყრელი! წუხელ ისევ მთვრალი მოვიდა, მე კი ნარწყევით მოსვრილი ჰალსტუხი მომაგდო, – გარეცხეო!.. თავის აქოთებულ წინდებსაც სულ მე მომიყრის ხოლმე!.. გასულ კვირას კი ვიღაც ბოზანდარა მოათრია, მთელი ღამე მოსვენება არ მომცეს...

– მატოოოორ!..

– გამარჯობათ, მე პირველი მოლაპარაკე სარეცხი მანქანა ვარ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.15